

K 204.676
3



ბ. სბრძემ



**XII-XV საუკუნეების
ქართული და რუსოელი
მოგზაურები**

კ. ხატიაშვილი

XII-XV საუკუნეების
ქართული და უცხოელი
მომგზავურები


28.87
910.2
ხ 259

წიგნში განხილულია XII-XV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურების მიმოსვლა იმდროინდელ ცნობილ სამყაროში. მას ახლავს რუკა, რომელზედაც მოცემულია ჩახრუხადის, ორი დავითის, ეფრემის, მარკო პოლოს, ვასკო და გამას და სხვათა მოგზაურობის მარშრუტები. იგი განკუთვნილია მოსწავლეთათვის, რომელიც დაეხმარება აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიის ისტორიით დაინტერესებულ ყველა პირს.

910.2
X 204.646

რეცენზენტები:

ისტორიულ მეცნ. კანდ. ქვ. ჩხატარაიშვილი
გეოგრაფიულ მეცნ. კანდ. კ. ლიფონავა



ქართული გეოგრაფიისა და სამოგზაურო ისტორიის სათავეებთან

გეოგრაფია მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია. თავდაპირველად იგი არ იყო დაყოფილი დარგების მიხედვით და ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებდა, იძლეოდა ცნობებს ამა თუ იმ ტერიტორიის ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შესახებ. აღამიანთა ცხოვრება და განვითარება გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარეობს და უეჭველია მის შესწავლას აღრიდანვე ჩაეყარა საფუძველი. ამ მეცნიერების წინსვლა მაჩვენებელია ერის კულტურული დონისა ყველა ეპოქაში. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი თავისებურებითა და სოციალურ ეკონომიკური განვითარებით იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძისი ტერიტორიის ცალკეული ნაწილების გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლას დიდ ყურადღებას უთმობდნენ არა მარტო ქართველი სწავლულები, არამედ უცხო ქვეყნების მოგზაურ-მკვლევარებიც.

საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის განვითარება განპირობებული იყო საქართველოს ხანგრძლივი ისტორიული წარსულის საზოგადოებრივი (საშინაო და საგარეო) მოვლენებით. ყოველ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ წარმატებასთან ერთად ვითარდებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგი, მათ შორის გეოგრაფია. ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები სწავლობდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიასაც. ამით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ ძველი სამყაროს შესწავლის საქმეში. მიუხედავად ამისა, კავშირი კაცობრიობის გეოგრაფიული ცოდნის ერთობლივ ევოლუციასთან სუსტი იყო; ნაკლებად იყო დაკავშირებული ძლიერი და მოწინავე ერების /დასავლეთ ევროპისა და მაჰმადიანური აღმოსავლეთის. ხალხთა/ გეოგრაფიულ წარმოდგენების განვითარებასთან. ქართველ გეოგრაფთა და მოგზაურთა ნაშრომები საქართველოშივე რჩებოდა და ზოგჯერ მტრისაგან ნადგურდებოდა.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ შეიცვალა გეოგრაფიის ამოცანები და შინაარსი. ძველ პერიოდში გეოგრაფია, როგორც მეცნიერება, თანამედროვე გაგებით არ არსებობდა, მას აღწერთი ხასიათი ჰქონდა და სახელმწიფო ინტერესებს ექვემდებარებოდა. გარემომცველ

ბუნებაზე ემპირიული წარმოდგენა ადამიანს შრომით საქმიანობაში ერთად ებრუნება და პირველყოფილი ადამიანის აზროვნებაში მთავარი ადგილი დაიკავა. მონათმფლობელური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების დაბალმა დონემ, კულტურის ცალკეულ დარგებს შორის სუსტმა კავშირმა, ძველი წელთაღრიცხვის IV – I ათასწლეულში განაპირობა გეოგრაფიული აზროვნების თვალსაწიერის შეზღუდულობა, ბუნების მოვლენებს უმთავრესად რელიგიური თვალსაზრისით ხსნიდნენ. აღრიხედულ შუა საუკუნეებში გეოგრაფიული წარმოდგენები ჩამოყალიბდა, ბიბლიური დოგმებისა და ანტიკური მეცნიერების ზოგიერთი დასკვნისაგან. შუა საუკუნეებში სივრცითი თვალთახედვა ფართოვდება, თუმცა ამ გარემოებამ ნაკლები ზეგავლენა მოახდინა მასების გეოგრაფიულ თვალსაწიერზე. გვიან, იტალიელმა ჰუმანისტებმა თარგმნეს ანტიკური პერიოდის გეოგრაფთა ზოგიერთი ნაშრომი, რომელთა გავლენითაც შეიქმნა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წინა ეპოქის შეხედულებანი. გეოგრაფიული აზრი თანდათან თავისუფლდება საეკლესიო დოგმებისაგან. მოგვიანებით გეოგრაფიულ კვლევას სისტემური ხასიათი მიეცა.

ქართველებს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჰქონდათ მიმოსვლა უცხო ქვეყნებთან ჩვენი სამშობლოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს ძველმა ქართველმა მოგზაურებმა, მათ არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ეროვნული კულტურის საგანძურში.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გეოგრაფიაში არ არის მდიდარი ისეთი გამოკვლევებით, რომლებიც გეოგრაფიული აზროვნების განვითარების ამა თუ იმ უბანს ან საკითხს განიხილავდეს. იგი ძალზე ღარიბია ისეთი ნაშრომებით, რომლებიც აშუქებენ ძველი საქართველოს გეოგრაფიას, ან სამოგზაურო გეოგრაფიასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

გეოგრაფია, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XI-X საუკუნეში. საერთოდ კი, იგი ანტიკური ხანიდან მომდინარეობს, როგორც ზოგადსაკაცობრიო შემეცნებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი. ყოველ მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანასა თუ ხალხში იგი თავისი საკუთარი გზითა და სპეციფიკით ვითარდებოდა. ყოველ ერს, ამ ზოგადსაკაცობრიო საგანძურში თავისი წვლილი შეჰქონდა. . . .

ასე იქმნებოდა და დღესაც ასე იქმნება გეოგრაფია ზოგადად და მისი ეროვნული ფორმებით კერძოდ. . . .

ასე შეიქმნა ქართული გეოგრაფია. . . .

გეოგრაფიული ცოდნის სათავე საქართველოში ანტიკურ პერიოდს



მიეკუთვნება. ამას ადასტურებს იმდროინდელი უცხოელი ავტორების შრომები, რომლებშიც ქართველთა მოგზაურობებისა და გეოგრაფიული აღწერების მრავალი ფაქტია მითითებული. ასე, მაგალითად, ავთო-სქოლასტიკოსის (VII ს.) აზრით „კოლხები ადგილის საუკეთესო მცოდნეები არიან და კარგად ერკვევიან გარემოში“. ხოლო აპოლონ როდოსელის (111 ს. ძვ. წ.) ცნობით, კოლხებს „შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები, და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“. ლექსიკოგრაფ სვიდას (X ს.) მიხედვით კირბები გეოგრაფიული რუკები უნდა ყოფილიყო, მათზე მოხატულ წყლისა და ხმელეთის საზღვრებსა და გზებს კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც გერმანელი მეცნიერი კარლ რიტერიც აღნიშნავდა: „ეს ფირფიტები უსათუოდ იყო პირველდაწყებითი რუკები და შეიძლება ეს ფირფიტები ჰქონდა ჰეროდოტეს, როცა მან ჩამოთვალა ჩრდილოეთის ხალხების—ბოსფორისა და პონტოს სავაჭრო გზები“. ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „კარტოგრაფიული ხელოვნების პატივ—დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. ეს ფირფიტები ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“. რიტერის ეს აზრი არაერთმა მკვლევარმა დაიმოწმა, ხოლო კირბების შესახებ მრავალმა ავტორმა გამოთქვა თავისი შეხედულება. ერთნი კოლხურ კირბებს დამწერლობის ნიმუშად თვლიან, მეორენი კარტოგრაფიის ჩანასახებად. ვფიქრობთ, ერთიც არის და მეორეც, რადგან რუკა წარწერებისა და რაღაც აღნიშვნების გარეშე არიქნებოდა. აღნიშნული კირბები გეოგრაფიული ფენომენია და რუკა თუ არა, მისი პირდაპირი წინაპარი მაინც არის. წყაროების მიხედვით, კირბებს კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა და იყენებდნენ მოგზაურობის დროს. ლიტერატურული და ისტორიული წყაროებით დგინდება, რომ შუაბრინჯაოს (ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეული) ხანაში ამიერკავკასიის ტერიტორიის მეშვეობით ხორციელდებოდა ურთიერთობა, ერთის მხრივ, ჩრდილოეთით კავკასიის ტომებისა და მეორე მხრივ, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობას შორის. ბუნებრივია, ასეთი ურთიერთობის დროს მათ ჰქონდათ რაღაც გეოგრაფიული გამოსახულება, რუკის პირველი ჩანასახი, რომლითაც იკვლევდნენ გზას

დიონ კასიუსის მიხედვით, რომის იმპერატორის ადრიანეს (II ს.) მიწვევით, ფარსმან მეფე დავისი ამალით რომს სწვევია, ასევე ვახტანგ გორგასალს (V ს.) დაულაშქრავს ინდოეთი, სინდეთი, აბაშეთი, საბერძნეთი და სხვ. შეუძლებელია შორეულ ქვეყნებში ლაშქრობისას ანდა

მოგზაურობის დროს მათ ხელთ არ ჰქონოდათ სამოგზაურო რუკები. ადგილის აღმწერ მოგზაურთა გარდა საკუთარ და მოსაზღვრე ქვეყნებს კარგად, იცნობდნენ ელჩები, მზვერავები, ვაჭრები, ზღვაოსნები, სპა-ხედრო პირები. ბუნებრივია, მათ ხელთ ჰქონდათ ქვეყნის აღწერის მასალები, იმ დროის რუკები და სხვ. ასევე იყვნენ შიკრიკ-მორბენლები, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ ადგილის გეოგრაფია. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში „ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქიოს ასურასტანისა. . . აღუთქვა მსახურება და ითხოვა მისგან შეწყვეტა ბერძენთა ზედა“; ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში კი „წარავლინა მოციქულნი საბერძნეთით მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინეს ბერძენთა მეფისასა“. შემდეგ „წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაი მისი იერუსალიმს. . . და მოილოცვეს ყოველნი ადგილნი წმინდანი“, აღნიშნულია „ქართლის ცხოვრებაში“.

ყველა ეპოქისა და პერიოდის გეოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ უცხო ქვეყნების მოგზაურთა და გეოგრაფთა შრომებში გვხვდება. ეს არის ძირითადად სხვადასხვა პირის მიერ მოცემული აღწერილობანი; პირადი დაკვირვებები და სხვ. ასეთი აღწერილობები გვხვდება უძველესი დროის ბერძენ ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა და გეოგრაფთა შრომებში (ჰეკატე მილეტელი, ჰიპოკრატე, არისტოტელე, სკილაკს კარიანდელი, სტრაბონი, პლინიუსი, აპოლონ როდოსელი და სხვ.), X-XI საუკუნეების არაბ და სპარს ისტორიკოსებისა და გეოგრაფების შრომებში (ალ-ისტახრი, ელ-ყაზვინი, ჰამდალაჰ ყაზვინი და სხვ.), XV-XVIII საუკუნეების ფრანგი მოგზაურებისა და იტალიელი მისიონერების წიგნებში (ჟოზეფ ტურნეფორი, ჟან შარდენი, არქანჯელო ლამბერტი და სხვ.).

ქართველი მკითხველი სამოგზაურო და გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებს თარგმანებითაც ეცნობოდა, რაც ხელს უწყობდა გეოგრაფიული აზრის განვითარებას, აცნობდა ქართველ მკითხველს მრავალ უცხო ქვეყანას და ხალხს. განსაკუთრებით ყურადსაღებია VII-VIII საუკუნეებისა და X საუკუნის თარგმანები; მრავალი უცხოელის ნაშრომი თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმასაზღვარგარეთის ქართულ კერებში თარგმნილი წიგნები დიდი რაოდენობით გეოგრაფიულ ცნობებსა და პირველ რიგში მოგზაურთა შთაბეჭდილებებს გადმოგვცემენ. ამასთან, საზღვარგარეთის ქართულ კერებში იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომებიც, ხოლო ზოგ თარგმანს დამატებული აქვს ქართული მასალა.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა ავანტიუ-

რული ხასიათის ნაწარმოებები. „ავანტიურული რომანი ისეთი ნაწარმოებია,

რომელშიც აღწერილია ფანტასტიკური თავგადასავალი ამა თუ იმ პირისა, მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა—ხეტიალის დროს. ამ მხარეს რომანი ენათესავება ფანტასტიკურ „მოგზაურობათა“ და „თავგადასავალთა“ რომანს, რამდენადაც აქაც სჯეშე გვაქვს ადგილის მოცვლის მოტივთან“ (კ. კეკელიძე). ქართული ავანტიურული რომანის ნიმუშებია: „ამირან-დარეჯანიანი“ (ორიგინალი), „ვისრამიანი“ (თარგმნილი), „მიმოსვლა სამთა ძმათა“ და სხვ. ავანტიურული რომანის გმირები ხშირად იწყებენ ფანტასტიკურ მოგზაურობას. მასში რეალურ გეოგრაფიულ ცნობებთან ერთად მოცემულია შეთხზულიც. ნაწარმოების გეოგრაფიული ფონი ძველი ასურეთის მესოპოტამიაა. აქედან ბერები მიემგზავრებიან იქით, „ადგილსა მას, სადა ცაი დასრულდების“, „სადა ცაი განისუენებს“, სადაც ეგულებათ „ქვეყნიური სამოთხე“. იმოგზაურეს ბეთლემსა და იერუსალიმში, საიდანაც განვლეს ტიგროსი, შევიდნენ სპარსეთში, არაბეთსა და ინდოეთში. შემდეგ მისულან „ძალისთავიანების ქვეყანაში“ — ქებაებში მცხოვრებთა და ციადამტკაველთა ქვეყანაში. ამ ადგილებს კი ძველი გეოგრაფები ხან ინდოეთში, ხან კიდევ აფრიკაში გულისხმობდნენ. შემდეგ ბერები მისულან ბნელითა და ნისლით დაფარულ ადგილას.

მაკარი რომაელის „ცხოვრებაში“ ბნელეთი ეგულებათ სამოთხის მისადგომებთან—ალექსანდრე მაკედონელის მიერ აგებულ კამბარასთან, რომელიც მან ალაშენა დარიოს სპარსთა მეფის დევნის დასასრულს უკიდურეს აღმოსავლეთში. სინამდვილეში, ბნელეთის ქვეშ იგულისხმება ევრაზიის კონტინენტის პოლარული არეები.

ამავე ხასიათის ნაწარმოია „მიმოსვლა ზოსიმესი“, რომელშიც დახასიათებულია ბუნების მოვლენები და ცხოველები.

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია XI—XII საუკუნეები, როცა უკვე ხდება ქართველთა პოლიტიკური გაერთიანება; ამან გავლენა მოახდინა ცხოვრების ყველა სფეროზე. X საუკუნიდან თანდათანობით ძლიერდებოდა ჩვენი ქვეყანა და XII საუკუნეში მახლობელი აღმოსავლეთის ერთ—ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. სწორედ ამ პერიოდში განვითარდა საქართველოში იმდროინდელი მეცნიერების მრავალი დარგი. გელათისა და იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა ლიტერატურა, რიტორიკა, ასტრონომია და სხვ. საგნები, აქვე ასწავლიდნენ გეოგრაფიის ელემენტებს. ამის შედეგად უნდა იყოს ის ფართო გეოგრაფიული გაზათლება, რომელიც იმ დროის მოღვაწეებს გააჩნდათ. ვრცელი გეოგრაფიული თვალთახედვა გამოამჟღავნა

ნეს ქართველმა პოეტებმა: ჩახრუხაძემ („თამარიანი“), შავთელმა („აბრ
დულმესიანი“), რუსთაველმა („ვეფხისტყაოსანი“) და სხვ. ქართველმა
ისტორიკოსებმა (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ჟამთაღმწერელი და სხვ.)
შექმნეს თხზულებები, რომლებშიც უხვადაა მოცემული გეოგრაფიული
ცნობები საქართველოსა და სხვა ქვეყნების შესახებ. მათი ნაშრომები
ადასტურებენ ქართული გეოგრაფიული აზრის მაღალ დონესა და დიდ
ერუდიციას.

ქართველთა გეოგრაფიული ჰორიზონტის გაფართოებას ხელს უწყობ-
და უცხო ქვეყნებთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარება,
მათკენ მიმავალი გზების კარგი ცოდნა. რუსი ისტორიკოსის ნესტორ
ჟამთაღმწერლის (XI – XII სს.) ცნობით ქართველები ინდოეთ–არაბეთს
XI საუკუნემდე იცნობდნენ. საბჭოთა გეოგრაფი მ. ბოდნარსკი კი აღნიშ-
ნავს, რომ ქართველებს სხვა ერებზე ადრე ჰქონიათ კულტურულ–ეკონომიკუ-
რი ურთიერთობა ინდოეთთან, არაბეთთან, რუსეთთან და სხვ. ქვეყნებთან.
შორეულ ქვეყნებთან ქართველთა ურთიერთობის დამადასტურებელია
რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებსა და ბალტიის ზღვის სანაპიროებზე ნაპო-
ვნი ტაო–კლარჯეთში მოჭრილი ფული (X ს.).

შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში დამოწმებულია
მრავალი ეთნონიმი და ტოპონიმი, რომლებიც შორეულ ხალხსა და ადგილ-
ზე მიგვითითებდა. XI საუკუნის თხზულებაში „მატიანე ქართლისა“ და
„ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ გვხვდება ცნება–რუსი და ვარიან-
გი; ხოლო ხუცეს–მონაზონის თხზულებაში (X ს.) –სლავი და ბორღალნი.
XI საუკუნის ტაჯიკი მოგზაური კი ეგვიპტეში ყოფნის დროს მიუთითებს
ქართველ უფლისწულებზე, რომლებიც ეგვიპტეში ნილოსის არხის გახსნას
ესწრებოდნენ. ქართველი მკლევარები (რ. მეტრეველი, გ. ლორთქიფანიძე)
ფიქრობენ, რომ არხის გახსნას ეგვიპტეში ქართველთაგან ესწრებოდნენ
ბაგრატ მეოთხის შვილი გიორგი და მეფის ერთგული ერისთავის შვილები.
ამდენად, XI საუკუნის საქართველოს ურთიერთობა ჰქონია ეგვიპტესთან.
XIII საუკუნის II ნახევარში ირანის მონღოლი გამგებელი აბალა–ხანი
რამდენჯერმე გალაშქრებულა ეგვიპტეზე; ერთ–ერთ ლაშქრობაში, რო-
მელსაც მისი ძმა მანგუ–დემური ხელმძღვანელობდა, მოხაჯილეოიდა დი-
მიტრი თავდადებული 30000 ქართველი მეომრით. არსებობს წყაროები,
რომელთა მიხედვითაც აბალას „დიდი ნდობა ჰქონდა ქართველებისა“,
ამიტომ ევროპის ხელმწიფეებთან ელჩებად უფრო ქართველებს ირჩევდა.
როგორც ჩანს, შუა საუკუნეების საქართველო საკმაოდ ძლიერი სახელ-
მწიფო იყო, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ქვეყანასთან.

მოგზაურობა ძველ სამყაროში

არავინ იცის როდის დაებადა ადამიანს შორეულ ქვეყნებში მოგზაურობის იდეა, გადაელახა თვალუწვდენელი ზღვები და ოკეანეები, მაგრამ როგორც სჩანს იმ უხსოვარ დროშიც დიდი იყო ადამიანის ცნობის-მოყვარეობა. იგი ისწრაფოდა უფრო მეტი სცოდნოდა სამყაროს შესახებ, ცნობილია. რომ ერთ-ერთი პირველი მოგზაური დედამიწაზე კართაგენელი განონი იყო (V ს. ძვ. წელთაღრიცხვით), რომელმაც 30 გემით, მეზღვაურებითა და ათასი მეომრით გაიარა აფრიკის სანაპირო, უკან მოიტოვა ჰერკულესის სვეტები (გიბრალტარი) და ატლანტის ოკეანეში გავიდა. მკლევართა ვარაუდით, მათ 4500 კმ-ზე მეტი გატურეს.

მას შემდეგ დედამიწაზე არაერთი მოგზაური დაიქმებდა ახალ გზებსა და ადგილებს სავაჭრო ურთიერთობისა და ნედლეულის მოსაპოვებლად. არაერთი ახალი ქვეყანა და კუნძული იქნა აღმოჩენილი. ვინ მოთვლის რამდენი წინააღმდეგობა და ხიფათით აღსავსე გზა გაიარეს კარვად შეიარაღებულ ექსპედიციებმა, რამდენ უსიამოვნებას შეხვდნენ, მაგრამ გულადი ადამიანები დაბრკოლებებს არ შეუშინდნენ და მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს მოგზაურთა ისტორიაში.

ქვემოთ მოკლედ ვისაუბრებთ ქართველი და ევროპელი მოგზაურების ძარშრუტებზე, შევადარებთ მათ გზებს. რუკაზე ვაჩვენებთ მათი მოგზაურობის ადგილებს, რაც საშუალებას მოგვცემს ნათლად წარმოვიდგინოთ ის რთული და საინტერესო გზა, რომელიც მათ განვლეს. შესაბამისი სამარშრუტო გზებზე პირველ რიგში ვისაუბრებთ ქართველ მოგზაურებზე.

აღსანიშნავია, რომ ისინი პროფესიით მოგზაურები არ იყვნენ: სულ სხვა მისწრაფებისა და გონების ადამიანები შემთხვევით აღმოჩნდნენ მოგზაურთა სიაში. მათი მარშრუტები გვამცნობენ იმდროინდელ სამყაროს. სამწუხაროდ ამ მოგზაურთა შთაბეჭდილებათა ჩანაწერები არ მოგვეპოვება. ახლა ძნელია მათი მიკვლევა, მაგრამ ცხადია, რომ ზოგ მათგანს რაიმე ჩანაწერი უეჭველად ექნებოდა.

ძველი ქართველი მოგზაურებიდან აღსანიშნავია XII საუკუნის პოეტი მოგზაური ჩახრუჭაძე, XIII საუკუნის უფლისწულები თლუ და ნარინ დავითი და XIV საუკუნის მოგზაური, თემურ-ლენგის ტყვეობაში მოხვედრილი, ეგრემი.

შუა საუკუნეების ამ სამი ქართველი მოგზაურის გარდა გვინდა გა-

გაცნობთ ცნობილი ევროპელი მოგზაურები, რომლებმაც ქართველებზე გვიან გაიარეს დაახლოებით იგივე გზები და ცნობილნიც იყვნენ მსოფლიოში. ეს იმიტომ მოხდა, რომ საქართველოს არ ჰქონდა მჭიდრო კავშირი ევროპულ სახელმწიფოებთან. უფრო მეტიც, საქართველოში ყოველგვარი დამწერლობის ნიმუშები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა და ისიც ქართულად. გარდა ამისა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში ევროპელები იყენებდნენ წინა მოგზაურების ჩანაწერებს; ქართველი მოგზაურების ჩანაწერები კი მათთვის მიუწვდომელი იყო ენის უცოდინარობისა და ერთეული იგზემპლარობის გამო.

საერთოდ, შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო სხვადასხვა ფანტასტიკური თქმულება, თითქოს დედამიწის რომელიღაც ზღვარის შემდეგ ადამიანის არსებობა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ადამიანთა გარკვეული ნაწილი სადად აზროვნებდა; მათი გეოგრაფიული ჰორიზონტის გაფართოებაში კი დიდი წვლილი შეიტანეს მოგზაურებმა. . . .

**ჩახრუხაძე - ძველი სამყაროს
„ფანტასტიკური“ მოგზაური**

ჯერ კიდევ მეათე საუკუნის მიწურულისათვის ფეოდალური საქართველო განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა; თუმცა ამ წინსვლას დროდადრო აფერხებდა უცხოელთა შემოსევები, მაგრამ ქართველები მამაცურად ხვდებოდნენ მტერს.

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს და მთელ მახლობელ აღმოსავლეთს შუა აზიიდან თურქული ტომები შემოესივნენ. თურქ-სელჩუკებმა ჯერ სპარსულ-არაბული ქვეყნები დაიპყრეს და შექმნეს უზარმაზარი სახელმწიფო, თავიანთი ძალაუფლება გაავრცელეს მთელ ახლო აღმოსავლეთში. შემდეგ კი ბიზანტიურ-ქრისტიანულ სამყაროსაც დაემუქრნენ. ერთხანს ბიზანტიელები მამაცურად იგერიებდნენ მტერს და ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევდნენ, მაგრამ 1071 წელს თურქებმა დაამარცხეს ბიზანტიელები. ამის შემდეგ თურქ-სელჩუკები საქართველოსაც მოადგნენ. ქვეყანა განსაცდელში ჩავარდა. საქართველო თურქ-სელჩუკების მოხარკე გახდა. ამ დროს საქართველოში მეფობდა გიორგი მეორე. მას მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. 80-იან წლებში დაიწყო თურქ-სელჩუკთა ახალი შემოსევები /„დიდი თურქობა“/. მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის

პირობებში საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება: 1089 წელს გიორგი მეორე გადააყენეს და მეფედ მისი ძე დავითი /შემდეგში დავით აღმაშენებლად წოდებული/ დასვეს.

დავითმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა შინაური მტრების—ურჩი, დიდგვაროვანი ფეოდალების წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა აგრეთვე სამეფო კარის ცენტრალური სამოხელო აპარატის განმტკიცებისათვის. 90-იან წლებში საქართველოს საგარეო მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1092 წელს გარდაიცვალა სულთანი მალიქ—შაჰი. სელჩუკების სახელმწიფოში მის ძმებსა და შვილებს შორის ატყდა შინაური ომი. ამავე დროს ევროპის ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა თურქ—სელჩუკების წინააღმდეგ დაიწყეს ჯვაროსნული ომები. შექმნილი ვითარებით ისარგებლა დავით აღმაშენებელმა, ხარკი შეუწყვიტა თურქ—სელჩუკებს და შეუდგა საქართველოს გაერთიანებასა და ტერიტორიის გაფართოებას. მან საქართველოს სამეფოს შემოუერთა ჰერეთი და კახეთი.

ქვეყნის გაერთიანებისა და ახალი ღონისძიებების გატარების შედეგად საქართველოს ეკონომიკაც განვითარდა. სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარებასთან ერთად წინ წავიდა ვაჭრობაც.

საქართველო ძლიერებით გამოირჩევა XI საუკუნის ბოლო პერიოდში. თამარ მეფემ დაამარცხა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებული ფეოდალები, ოპოზიცია იძულებული გახდა დამორჩილებულიყო. თამარის მეფობის პირველ პერიოდში, დაძაბული შინაკლასობრივი ბრძოლის ვითარებაში, საქართველო მხოლოდ თავდასხმებს იგერიებდა და ფეოდალური სახელმწიფოსათვის ჩვეულებრივ წვირლ სასაზღვრო თარეშებს აწყობდა. XI საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ ფართო ფრონტით შეუტია სელჩუკებს. 1195 წელს შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს აზერბაიჯანის ათაბაგ აბუბაქრისა და მისი მოკავშირეების ლაშქარზე. 1203 წელს დაამარცხეს რუმის სულთნის რუქნადინის ლაშქარი. სხვა კიდევ რამდენიმე ლაშქრობის შედეგად თამარ მეფის დროს საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

საქართველოს იმდროინდელ ძლიერებაზე მოგვითხრობს გერმანელი მეცნიერი რიჰარდ ჰენნიგი თავის წიგნში; მას მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ დაახლოებით 1200 წელს საქართველის მეფე თამარის სამსახურში იმყოფებოდა არანაკლებ სამი ათასი მეომარი ვიკინგი. ვიკინ -



გები კი სკანდინავიელი მოლაშქრეები იყვნენ, რომელთაც ძველ რუსეთში ვარიანებს, ხოლო დასავლეთ ევროპაში ნორმანებს ეძახდნენ.

ამ პერიოდში საქართველოში მრავალი ისტორიკოსი და მწერალი მოღვაწეობდა; მათ შორის განსაკუთრებული კვალი დატოვა შოთა რუსთაველმა. პოეტი კარგად იცნობდა არა მარტო საქართველოს, არამედ იმ დროის ცნობილ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას; ეჭვი არავის ეპარება, რომ მისი პოემის გეოგრაფიული ობიექტები—ინდოეთი, მისრეთი, არაბეთი, ჩინეთი, ხატაეთი, ხვარაზმი, ბაღდადი, ათენი და სხვა—რეალურად არსებული ქვეყნები და ქალაქებია.

მართალია, პოემა გეოგრაფიულად XII საუკუნის მსოფლიოს ფონზეა გაშლილი, მაგრამ მისი თემა საქართველოს სინამდვილიდანაა აღებული. უცხო სახელმწიფოთა ზნე-ჩვეულებანი და ბუნებრივი გეოგრაფიული გარემო მთელ მასალასთან ორგანულადაა შერწყმული. ამასთან, პოემის გეოგრაფიული მარშრუტი ობიექტურ რეალურ სინამდვილეზეა აგებული და განსაკუთრებული სიზუსტითაა მოცემული. პოემის მარშრუტული სქემა აგებულია როგორც სივრცობრივი გააზრებით, ისე დროის ფაქტორთა გათვალისწინებით. უეჭველია პოეტი ეყრდნობოდა მსოფლიოს იმდროინდელ რუკებსა და საზღვაო გამოცდილებას. მით უმეტეს, მარშრუტები უმეტესად საშუალო საუკუნეებში ცნობილი სანაოსნო გზებს ემთხვევა. რუკების საშუალებით მანძილების გაზომვა, ჰავის პირობების, გეოგრაფიული ტერმინებისა და ობიექტების კარგი ცოდნა, მიგვითითებს პოეტის გეოგრაფიულ აზროვნებაზე.

გეოგრაფიისა და ასტრონომიის ცოდნით რუსთაველი შეუდარებლად მაღლა იდგა საშუალო საუკუნეთა ხანის განათლებულ ადამიანთა უმრავლესობაზე. შოთა რუსთაველის პოემა „გეფხისტყაოსანი“ ჰარმონიულად აზაგებს ხელოვნებას და მეცნიერებას; იგი არა მარტო პოეზიის შედევრია, არამედ დედამიწის, კაცობრიობის და სამყაროს მეცნიერული აღქმის გარკვეული ეტაპის მიღწევათა შეჯამებაც.

შოთა რუსთაველის თანამოკალმე და თანამეცნიერეა ჩახრუხაძე, რომელიც თამარ მეფის კარის მგოსანი იყო.

ჩახრუხაძე კლასიკური ხანის მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართულ მწერლობაში და თვალსაჩინო მოგზაური. პ. ინგოროყვას აზრით ჩახრუხაძე მოხვევა, რაც მისივე ნაწარმოებით დასტურდება: „მოხევის ძეთა ჩახრუხაძეთა“. აღსანიშნავია ისიც, რომ ხევი მარტო დღევანდელ ხევს როდი ეწოდებოდა; ამ ტერმინს უფრო ფართო გაერკელება და მნიშვნელობა

ჰქონდა; ხევი ძველ საქართველოში ნიშნავდა ადმინისტრაციულ ერთეულს, რაც დაკავშირებული იყო გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

„მოხვეელისმან, ჩაბრუნელისამ,
ლექსთა სიტკბომან ამიყოლია,
მისებრ მთიული, სიბრძნით ღვთიური,
თამარის კიდევ ვისმცა ჰყოლია“.

არც „მთიული“ და „მთიულეთი“ იყო ერთი რომელიმე მხარის გამო-მხატველი; „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მთიულეთად იწოდებოდა საქართველოს ყველა ის რაიონი, რომელიც მდებარეობდა კავკასიონის მაღალმთიან ზოლში.

ივ. ლოლაშვილის მიხედვით, რუსთაველის წინამორბედ და თანამედროვე მწერალთა შორის, ჩაბრუნაძე ხასიათდება როგორც მაღალი პოეტური კულტურის მებოტბე, რიტორი და ბრძენი.

XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დასაწყისში ჩაბრუნაძემ შექმნა სახოტბო ჟანრის ნაწარმოებები „თამარიანი“, რომელშიც აღწერილია მეფე ქალზე უიმედოთ გამიჯნურებული პოეტის მოგზაურობა ათი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში. ნაწარმოებში კარგად ჩანს XII საუკუნის საქართველოს მდგომარეობა ვარდა ამისა, მოცემულია ათი წლის განმავლობაში მისი მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩაბრუნაძე სამეფო კარზე კარგად ცნობილი პიროვნება ყოფილა (თამარის მდივანი). გაურკვეველი მიზეზების გამო მან მიატოვა სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა. ზოგი ფიქრობს, რომ იგი უიმედოთ ყოფილა შეყვარებული თამარზე; ზოგს კი მიაჩნია, რომ იმ დროს სამეფო კარზე გაბატონებული ყოფილა ფეოდალთა ინტრიგები მის წინააღმდეგ. ისიც ცნობილია, რომ ზოგჯერ გაბატონებული ფეოდალური და საეკლესიო წრეები სდევნიდნენ მოწინავე იდეათა მატარებელ მოღვაწეებს და ხშირად აძევებდნენ მათ სამეფო კარიდან, ზოგჯერ სამშობლოდანაც.

არც ის არის გამორიცხული, რომ ჩაბრუნაძის ეს მოგზაურობა გამოწვეული ყოფილიყო სახელმწიფო ინტერესებით, რათა ახლო გასცნობოდა მეზობელი და შორეული ქვეყნების სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. იმ დროს ქართველ ხალხს საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო მოსაზღვრე ქვეყნებთან, არამედ აზიის, აფრიკის და ევროპის შორეულ ქვეყნებთანაც. ასეა თუ ისე, ჩაბრუნაძის მოგზაურობა სრულიად კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ექვემ-



დებარებოდა იმდროინდელ სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებებში.
რეზიუმე.

ჩახრუხადის მოგზაურობის მარშრუტი, როგორც სქემატური რუკი დანაც ჩანს, საკმაოდ გრძელია და იმ დროისათვის ცნობილ შიოფლიოს მოიცავს. მან გაცილებით რთულ პოლიტიკურ პირობებში შიოფლიოში ათიარებულ ვენეციელ მარკო პოლოზე საუკუნით ადრე შემოიარა ძველი სამყარო. ასეთი „ფანტასტიკური“ და ვრცელი მარშრუტი მანამდე მსოფლიო მასშტაბით დადასტურებული არ არის.

ჩახრუხადის მოგზაურობის საკითხი მრავალ მკვლევარს აინტერესებდა; ამ მხრივ აღსანიშნავია პ. ინგოროყვას და ლ. კარბელაშვილის გამოკვლევები, რომლებიც ამუშებენ ჩახრუხადის მოგზაურობის ძირითად მომენტებს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ შესასწავლია, ბევრი რამ დასაზუსტებელი; ერთი კი უდაოდ ცხადია, ჩახრუხადე თავისი დროის უდიდესი მოგზაურია.

ქართველები წარსულში მოგზაურობისადმი უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ, ვიდრე ევროპელები. კავკასიაში ევროპელები—ბერძნები და ბიზანტიელები—ანტიკურ პერიოდში მოგზაურობდნენ; შემდეგ მოგზაურობა საერთოდ შეწყდა და მხოლოდ X111 საუკუნიდან გაახლეს იტალიელმა და ფრანგმა მოგზაურებმა. ქართველთა მოგზაურობას სხვა ქვეყნებში ხელს უწყობდა ისიც, რომ კავკასია იყო შემაერთებული ხიდი ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის. საქართველოში გადიოდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გზები დასავლეთში შავ ზღვასა და მდ. ფაზისზე (რიონი), ხოლო აღმოსავლეთში მდ. მტკვარზე. ერთ-ერთი უცხოელი ავტორის თქმით (V ს. ძვ. წელთაღრიცხვით), ფაზისში თავს იყრიდნენ 60 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომის წარმომადგენლები.

ჩახრუხადემ იმოგზაურა 1193—1203 წლებში; საქართველოდან იგი გამეზავრა სპარსეთს, სადაც მოიარა ქვეყანა, შეხვდა სულთანს და დაუახლოვდა მის კარს. იყო ისპაანსა და თეირანში.

„მოვლის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთი
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
იგავნი უთხრნის, მეფენი უქმნის,
მათადვე სწორად მათი ლაშქარი“.

სპარსეთში ჩახრუხადემ სახელი გაითქვა როგორც პოეტმა და მთქმელმა. იგი საკმაო ხანს დარჩა სულთნის კარის პოეტად. შემდეგში ხვარაზმელთა და სპარსთა შორის ატეხილ ომში სპარსეთი დამარცხდა, სულთა-

ნი დაიღუპა და ჩახრუხაძე იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს ქვეყანა. ერთხანს გადავიდა გურიელების სამეფოში (შედიოდა ირანის აღმოსავლეთი ნაწილი, ავღანეთი, ინდოეთის ნაწილი და სხვა), შემდეგ—ინდოეთში.

„არვისად სწორად წავიდის შორად,
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი“.

ჩახრუხაძის მარშრუტი რუკაზე ისპანიდან მიემართება ინდოეთისაკენ. მან გზად გაიარა შირაზი, ყანდჰარი, ლაზნა, ლაჰორი, დელი და მიაღწია კალკუტამდე. მოგზაური ცოტახანს დარჩა ინდოეთში და შემდეგ განაგრძო თავისი მოგზაურობა.

„მოვლნის ინდი, ხანნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი“.

ჩახრუხაძემ მიაღწია ჩინეთს, იყო იანში (პეკინი), შემდეგ გადავიდა მონღოლეთში, იქიდან ხატაეთში (ჩინეთის ნაწილი), გადალახა მდ. ჯეონი (ამუდარია) და საქარაენო გზით ხაზარეთში ჩავიდა. ეს გზა იყო იგრეთ წოდებული „ჩინეთის ძველი სააბრეშუმო გზა“. აღსანიშნავია, რომ ეს გზა საშიშ საგალად ითვლებოდა. როგორც ჩანს, ჩახრუხაძე არ შეუშინდა ამას და გადავიდა ხაზარეთში, გადალახა მდ. ატალა (ვოლგა).

„ატალას მოჰყვის, ქვეყანას მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაპოვარი.
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც გაჰყვის,
ზღვის პირით ქროდის ტაროსთა ქარი“.

ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებებიდან დღეისათვის ზოგი მათგანი აღარ იხმარება, მათ შორის, ხანნი—აღმოსავლეთის ინდოელნი, ჩინნი—სამხრეთ ჩინელნი, ატალა—მდინარე ვოლგა; ხაზარეთი—ჩრდილოეთი კავკასია და ვოლგა—დონის შუა მდებარე ადგილები.

„წავიდის ხმელსა, იონთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი“.

აზიის ქვეყნებში ჩახრუხაძემ 6 წელი დაჰყო. შემდეგ გაეცნო ხაზარეთსა და რუსეთს, იყო მდ. ვოლგის აყოლებით, გადალახა მდ. ნეპერი (დნეპრი) და კიევის სამთავროს გავლით მიაღწია შავ ზღვას. აქედან გადავიდა კონსტანტინოპოლში. აქ ჩახრუხაძე ხმელთაშუა ზღვის შემოვლით გაეცნო ევროპისა და აფრიკის სანაპირო ქვეყნებს.

საბერძნეთის შემდეგ ჩახრუხაძემ მოიარა იტალია, საფრანგეთი და ესპანეთის სანაპირო ქალაქები, იქიდან კი აფრიკის ჩრდილოეთის სანაპირო ქვეყნებში მოხვდა.

„მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი“.

მთლიანად დაათვალიერა ეგვიპტე, მალრიბის ხალიფატი და
იემენტა მხრიდან მეწამულის ზღვით გადავიდა არაბეთში:

„ამანს მოვიდის, თავი იდიდის,
რა ხამდის, მუნცა ქმნის იგ საქნარი.
მოიქცის გარე, მოძებნის მთვარე,
შიმ—ჰაერ პირნი, მნათობის დარი“.

არაბეთში მან მიიღო მაჰმადიანობა და ცოლად შეირთო არაბი ქა-
ლი. ფიქრობენ, რომ ამ გზით მოახერხა მოგზაურმა არაბეთის წმინდა
ადგილების მონახულება. გაეცნო მექას და მოიარა თითქმის მთელი არა-
ბეთი. ჩახრუხაძე პირველი მოგზაურია, რომელმაც შეძლო მუსლიმანთა
„წმინდა ადგილებში“ შესვლა და მათი გაცნობა. შემდეგ ბასრაში გამოვ-
ლით სჯართველოსაკენ გამოემგზავრა. 1203 წელს იგი ჩავიდა ბაღდადში.
აქ მის შესახებდრად ჩამოვიდნენ მისი ახლობლები—ძმა და მეგობრები.
მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ჩახრუხაძე საქართველოში არ და-
ბრუნდა. იმავე წელს იგი ახალ მოგზაურობას იწყებს, რომლის შესახებ
ცნობები აღარ მოგვეპოვება.

„მო—გლახ—ველოდი! დამეცის ზარი,
დამტყდიან ცანი! — „კვლავ განვვლი ზღვანი“ . . .

ჩახრუხაძეს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მოგზაურობა, ჯერ
ერთი, ენის უტოლინარობის გამო ძნელი იყო სხვადასხვა ქვეყნის ხალხ -
თან ურთიერთობა, ძნელი იყო მათ ზნე—ჩვეულებებთან შეგუება. არ იყო
სატრანსპორტო საშუალებები, გართულებული იყო პოლიტიკურ—ეკონო -
მიკური და სამხედრო ვითარება. გზაზე ხშირად თავს ესხმოდნენ ყაჩა-
ღები. ცნობილია, რომ ერთ—ერთი თავდასხმის დროს ჩახრუხაძეს დაუხო-
ცეს ყმები. მან მარტოდ—მარტო განაგრძო გზა.

მოგზაურობის დროს ჩახრუხაძე უმეტესად მსხვილ ცენტრებსა და ქა-
ლაქებში ჩერდებოდა, ეცნობოდა ამ ადგილებს, უკავშირდებოდა ქვეყნის
მმართველ წრეებს და ამყარებდა ურთიერთობას.

ჩახრუხაძის „თამარიანის“ დაწერის თარიღს მკვლევარები სხვადასხვა
რიცხვით ათარიღებენ, 1205 წლიდან 1212 წლამდე რამდენიმე თარიღს
ასახელებენ. ამ პერიოდში მას უნდა მოეწყო სპარსეთი, ინდოეთი და
სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები.



როგორც ჩანს, ჩახრუხაძემ ვაცილებით რთული მარშრუტით იმოგზაურა აზიის ქვეყნებში ვიდრე, დაახლოებით ასი წლის შემდეგ ვენეციემა მარკო პოლომ. მათი მარშრუტები დაახლოებით ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან, ჩახრუხაძემ მოიარა ის ქვეყნებიც, რომლებიც მანამდე ევროპელებს არ ენახათ.

პ. ინგოროყვას და ლ. კარბელაშვილის აზრით, ჩახრუხაძეს უნდა ჰქონოდა მოგზაურობის ჩანაწერები, ნანახი ქვეყნებისა და ხალხთა გეოგრაფიული აღწერილობა—დახასიათება. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან-მა ჩანაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ვარაუდობენ, რომ ასეთი ჩანაწერები ან სპარსულ—არაბული ქვეყნების მუზეუმ-საგანძურებშია შემორჩენილი, ან კიდევ ქართულ ხელნაწერებთან ერთად ვაიტაცა თემურ—ლენგის ამალამ.

ერთი ვერსიით ჩახრუხაძე სიცოცხლის ბოლო წლებში, თითქოს იერუსალიმში გაემგზავრა და კვლავ მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება, ხოლო მეორე ვერსიით, მან თითქოს საქართველოს ერთ—ერთ მონასტერში გაატარა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები. იგი 1213 წელს გარდაიცვალა.

„თამარიანის“ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები XV11—XV111 საუკუნეებით თარიღდება. ტექსტი გამოსცა პ. იოსელიანმა /1838 წ./, პირველი მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის ნ. მარს /1902 წ./ ეს ნაწარმოები რუსულად თარგმნა შ. ნუტუბიძემ /1942 წ./. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს გამოცემულია დ. ჩუბინაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, ს. კაკაბაძის, ს. ყუბანეიშვილის, ი. ლოლაშვილის და სხვა მიერ.

**ორი დავითის იძულებითი მოგზაურობა
ყარაყორუმში**

X111 საუკუნის დამდეგს ცენტრალური აზიის ტრამალებიდან თათარ-მონღოლთა ურდოები მოედნენ აზიისა და ევროპის მრავალ ქვეყანას და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლე დროში დაიპყრეს.

საერთოდ, ტერმინი მონღოლი X111 საუკუნეში გაჩნდა და მონღოლთა გაერთიანებულ სახელმწიფოში შემაგალ. ყველა ტომს აღნიშნავდა. ქართველი ჟამთააღმწერელი X1V საუკუნეში აღნიშნავს, რომ „ესენი ენითა მათითა უწოდიან თავთა მათთა მანღოლ, ხოლო ქართველნი თათრად...“

მონღოლური ტომები მომთაბარეობდნენ და ქეჩის კარგებში ცხოვრობდნენ. ძირითადად ხორციელთა და რძის ნაწარმით იკვებებოდნენ. ამ პერიოდში მონღოლეთში ადრეფეოდალური ურთიერთობა დამკვიდრდა, წარმო-



იშვა ე. წ. მომთაბარე არისტოკრატია, რომელმაც საძოვრების განაწილების უფლება მოიპოვა. მომთაბარე არისტოკრატია იქცა სამხედრო-მომთაბარე არისტოკრატიად, რომელიც ხშირად ილაშქრებდა, როგორც თავის სახელმწიფოში, ისე მის გარეთაც. XIII საუკუნის დამდეგს, მძაფრი სოციალური ბრძოლის შედეგად, მონღოლეთის მცხოვრებ ტომებს შორის წარმოიშვა მონღოლთა გაერთიანებული სახელმწიფო და მას სათავეში თემუჩინი-ჩინგიზ-ხანი ჩაუდგა. 1206 წელს იგი მონღოლთა სახელმწიფოს უზენაეს მბრძანებლად აირჩიეს. გაერთიანებულმა მონღოლურმა ტომებმა დაიწყეს დაპყრობითი ომები და ნადავლი და ხარკი შემოსავლის წყაროდ გაიხადეს. გაერთიანებულმა მონღოლებმა პირველად ჩრდილოეთ ჩინეთზე გაილაშქრეს. მეორე ლაშქრობის დროს პეკინიც აიღეს და ცინის დინასტიის ბატონობა დაამხეს. ჩინეთის ეს ნაწილი ჩინგიზ-ხანმა შეუერთა თავის სამფლობელოს და იქიდან მთლიანი ნადავლით დაბრუნდა. ჩინეთში მონღოლები გაეცნენ სამხედრო ტექნიკას და რაც მთავარია, თან ზვერი საომარი იარაღი ჩამოიტანეს. ამის შემდეგ, ჩინგიზ-ხანმა ყარაქითაების დიდი სახელმწიფო დაიპყრო და გზა გაიხსნა დასავლეთისაკენ.

1219 წელს ჩინგიზ-ხანმა თავისი ურდოები შუა აზიისაკენ დაძრა. ერთი წლის განმავლობაში მათ დაიპყრეს მთელი შუა აზია მდ. ამუდარია-მდე. შემდეგ უფრო შორს შეიჭრნენ, დაიპყრეს ავღანეთი, ირანი და ძალე აზერბაიჯანში შემოიჭრნენ. გზად იპყრობდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ძარცვავდნენ და ჟლეტდნენ მოსახლეობას. საქართველოში პირველად 1220 წელს გამოჩნდნენ. ამ დროს მეფობდა ლაშა გიორგი. ქართველები მტრის შემოჭრას მოუშხადებლნი შესვლდნენ და პირველი შეტაკებისათვის 10 ათასიანი ლაშქარი გამოიყვანეს, მაგრამ დამარცხდნენ. მარცხის მიუხედავად, მაინც შეძლეს მონღოლთა უკუქცევა. მალე, 1225 წელს, საქართველოს ხვარაზმელთა სახელმწიფო დაემუქრა. ამ დროს ხვარაზმელი მარბიელი რაზმები მოქმედებდნენ. ისინი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ქართველებს და დიდ ზარალს აყენებდნენ. საქართველოს სამეფო კარმა დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა.

1225 წელს ხვარაზმელთა სახელმწიფოს უკანასკნელი გამგებელი ხვარაზმშაპ ჯალალ ად-დინი საქართველოში შემოიჭრა და ქართველთა ჯარი დაამარცხა. 1226 წლის დამდეგს თბილისი აიღო. ხვარაზმელებმა ქალაქი ააოხრეს და გაძარცვეს, ხოლო მისი მოსახლეობა უმოწყალოდ გაუღიტეს, არავის ინდობდნენ. ქართველებმა ქალაქი მხოლოდ 1227 წლის

თებერვალში დაიბრუნეს, როცა ჯალალ ად-დინი ხლათის ალემის დამარცხდა. ჯალალ ად-დინმა, რა თქმა უნდა, ადვილად არ დათმო საქართველო და ბრძოლა ბოლნისთან ახლოს გაჩაღდა. მემატიანის ცნობით ამ ბრძოლაში ქართველებს ყვიჩაყები განუდგნენ, რის გამოც ქართველთა ლაშქარი განახევრდა და დამარცხდა. 1230 წელს რუსუდანმა თანამოსაყდრედ თავისი 5 წლის ვაჟიშვილი დავითი დასვა და აკურთხებინა.

1230-1231 წლებში მონღოლები გაძლიერდნენ, ჯალალ ად-დინსაც შეებრძოლნენ და დაამარცხეს. ჩინგიზ-ხანის დაწყებული საქმე ახლა მისმა მემკვიდრემ უგედვი ყაენმა გააგრძელა. მონღოლებმა კვლავ დაიპყრეს შუა აზია, ირანი და ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. 1235 წელს აიღეს განძა და შამქორი. ამ დროს რუსუდან მეფე ახალი გადმოსული იყო თბილისში, მაგრამ იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში დაბრუნებულიყო. თბილისში დარჩა მუხას ძე, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა გადაეწვა ქალაქი თუ მონღოლები თბილისს აიღებდნენ. ამით რუსუდან მეფემ და ქართველმა დიდებულებმა უარი თქვეს მონღოლებთან ბრძოლაზე.

XII საუკუნის 30-იან წლების მიწურულს მონღოლებმა აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრეს და ხანგრძლივად გაბატონდნენ კიდეც. ქუთაისში გახიზნულმა საქართველოს მეფემ ვერ შეძლო შინაგანი ძალების მობილჩება. რუსუდანმა მონღოლებს დაზავება სთხოვა. ზავი დაიდო 1242 წელს. მოლაპარაკება ერთდროულად მიმდინარეობდა მონღოლთა ადგილობრივ მთავარსარდალთან და უშუალოდ ყაენთან ვოლგაზე. რუსუდან მეფემ ბათო ყაენთან ვოლგისპირეთში ვაგზავნა არსენ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, რომელსაც ევალებოდა ზავის პირობები და უგნებლობის ფიცი მიეღო ყაენისაგან. ზავის თანახმად, საქართველოს მეფე ცნობდა მონღოლთა უზენაეს უფლებას, აღმოსავლეთ საქართველოში ქართველ ხელისუფლებთან ერთად იქნებოდნენ მონღოლთა მოხელეები. საქართველოს ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 50 ათასი ოქროს ფული, მონაწილეობა უნდა მიეღო მონღოლთა ლაშქრობებში. თავის მხრივ, ყაენი სრულიად საქართველოს მეფედ ცნობდა რუსუდანის ძეს დავით VI ნარინს. მთავრები კი ჩარიცხეს მონღოლთა სამხედრო-პრივილეგირებულ წრეში და ხელუხლებლად დაუტოვეს თავიანთი საგამგებლოები.

1242-1243 წლებში, დაზავების შემდეგ, საქართველოს მთავრობა ქუთაისიდან თბილისს გადმოვიდა. რუსუდანი თავის შვილითა და თანამოსაყდრით დავითითურთ საზეიმოდ მეფედ უნდა დაესვათ, მაგრამ მონღოლ-



თა ადგილობრივმა ხელისუფლებმა დავით რუსუდანიის ძე სამეფო ოსამტკიცებლად ჯერ ბათო ყაენთან / ვოლგისპირეთში/, შემდეგ კი ყაენთან / ყარაყორუმში/ გაგზავნეს. „გარდამოვიდა მეფე რუსუდან ღიხით და მივიდა ტფილისად, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისასანო. და წარავლინა ძე თვისი დავით ნოინთა წინაშე, რომელთა პატივითა შეიწყნარეს და მოხუცს ყოველი სამეფო, წარჩინებულნი და ყოველნი მთავარნი საქართველოსანა, და ესრეთ კულად ევო სამეფო ბრძანებასა ქუეშე რუსუდან მეფისასა“, აღნიშნულია „ქართლის ცხოვრებაში“. ამ დროიდან მოყოლებული სამეფო ტახტზე ასასვლელად მონღოლთა ურდოში გამგზავრება და იქ დამტკიცება შემოვიდა წესად, რისთვისაც იყო საჭირო შორეულ ქვეყანაში წასვლა და ხანგრძლივი მგზავრობა:

„და მიიწიენეს წინაშე ზემოხსენებულის ბათოსსა, რომელმაც კეთილად იბიღნა ნარინ დავით მეფე, და ორისა წლისა ეამთა თვის თანაიპყრა და მიერ წარავლინა ჩინმაჩინს და ყარაყორუმს, მანგუ ყაენს წინაშე. გადმოგვეცემს იგივე „ქართლის ცხოვრება“.

ამრიგად, დავით ნარინი რუსუდანიის ძე იწყებს იძულებით მოგზაურობას მონღოლთა სამეფოში. თავდაპირველად გაემგზავრა ვოლგისპირეთში ბათო ყაენთან, შემდეგ დავითი მანგუ ყაენთან—ყარაყორუმში. ამ მოგზაურობას მან თითქმის ორი წელი მოანდომა. სქემატურ რუკაზე ნაჩვენებია დავით ნარინის მოგზაურობის მარშრუტი. დავითის შესახებ დიდხანს არაფერი იცოდნენ. რუსუდანმა ვეღარ გაუძღო შვილის დარდს, ცხოვრების ბედის უკუღმართობას და 1245 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში დადგა უმეფობის ხანა. ამით ისარგებლეს მონღოლებმა და ქვეყნის შინაური ადმინისტრაცია მონღოლურ წესზე გადაიყვანეს. ეს წესი ადგილობრივ სამხედრო ხელისუფალთა (ერისმთავართა) სრულ ბატონობას ამყარებდა. მთელი საქართველო რვა დუმნად (ათიათასეულად) დაყვეს. მართალია დუმანი სამხედრო ერთეული იყო, მაგრამ მას სამოქალაქო ფუნქციაც ეკისრებოდა. ამ დუმნებმა დიდხანს ვერ იარსებეს, მაგრამ ნაინც საკმაოდ შეარყიეს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა. უძიფრობა და ქვეყნის დუმნებად დანაწილება ძნელად შესაგუებელი რეჟიმი იყო ქართველებისათვის.

დავით რუსუდანიის ძის ამბავი ყარაყორუმიდან დიდხანს აღარ ისმოდა. რუსუდანიის გარდაცვალების შემდეგ, ბუნებრივია, საქართველოს მესვეურებმა დაიწყეს ახალი მეფის ძებნა. ამიტომაც რუმის სასულთნოდან ჩამოიყვანეს დავით ლაშას ძე და თანხლებითურთ მონღოლთა ურ-



დომი ვაგზაუნეს. მაგრამ მოხდა ის, რასაც არ ელოდნენ; მონღოლთა სურვილი დომი დახვდათ დავით რუსუდანის ძე. გაიმართა ცხარე დავა, რომელში დავითი უნდა დაესვათ ტახტზე რუსუდანის კანონიერი შვილი, თუ ლაშას უკანონო ძე.

დავით რუსუდანის ძის მომხრეებს თავის სასარგებლოდ სამი მოსაზრება და დებულება მოჰყავდათ: ჯერ ერთი, მაშინ, როდესაც საქართველოში მონღოლები შემოიჭრნენ დავით რუსუდანის ძე უკვე საქართველოს ტახტზე დედის თანამოსაყდრე იყო; მეორე, როცა აღმოსავლეთ საქართველო მტერმა ხელში ჩაიგდო და მონღოლთა ხელისუფლებასთან დაზავება მოხერხდა, საქართველოს სახელმწიფოს ერთადერთ, მეფის კანონიერ მემკვიდრედ დავით რუსუდანის ძე ითვლებოდა; მესამე, უფლებრივი თვალსაზრისითაც დავით ლაშა-გიორგის ძეს ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, როგორც „უკანონო“ შვილს, მამის სამეფო ტახტი არ ეკუთვებოდა.

დავით ლაშას ძის მომხრეებმა ისარგებლეს თვით მონღოლური წესით რომლის მიხედვითაც არ იყო განსხვავება კანონიერ და უკანონო შვილს შორის, რადგან იქ მრავალკოლიანობა წესად იყო. გუიქ ყაენმა მონღოლური წესით იხელმძღვანელა და საქართველოს მეფედ ორივე კანდიდატურა დაამტკიცა, მაგრამ დავით ლაშას ძეს, როგორც ასაკით უფროსს უპირატესობა მისცა და მას დაუტყვემდებარა დავით რუსუდანის ძე. რადგან ორივეს ერთნაირი სახელი ჰქონდა, პირველს ზედსახელად ულუ (ულუსი) უწოდეს, მეორეს ნარინი (უმცროსი). ასე დამთავრდა 1246 წელს საქართველოს უმეფობის ხანა.

ამგვარად, მონღოლთა ყაენის გადაწყვეტილებით საქართველოში ორმეფიანობა დამტკიცდა. საქართველო ორ სამეფოდ უნდა გაყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ორივე მეფე თბილისში დარჩა და ქვეყნის მართვა ვამეგობაც ორივეს სახელით შიძღვნიანობდა. ქვეყანა სრულიად საქართველოდ დარჩა.

საინტერესოა ამ ორი დავითის პორტრეტის მტრინები-დავით ულუ ტანადი, მაგრამ ენამძიმე და გულუბრყვილო; საუბარი ეძნელებოდა და ამასთან ერთად ფიცხიც ყოფილა. იგი არაერთხელ აჩქარებულა და განრისხებულა, რის გამოც შეცდომაც ჩაუდენია და საქართველოსათვის ზიანი მიუყენებია. მას მონღოლთა ურდოში ცოლად შეურთავეს ჯიჯდა-ხათუნი. მასთან მემკვიდრე არ ჰყავდა. 1249 წელს შეიერთო ოსის ქალი ალთუნი, რომელთანაც ორი შვილი-გიორგი და თამარი შეეძინა. შვილები ბის შექენის შემდეგ პირობის თანახმად მეორე მეუღლე ვაჟზე, ამასობის შემდეგ.



ში ჯიგდა-ხათუნიც გარდაიცვალა და ამჯერად, 1251 წელს თანამედროედ რაჭის ერისთავის კახაბერიძის ასული გვანცა მოიყვანა, სგანაც, 1259 წელს შეეძინა ვაჟიშვილი დემეტრე (შემდეგში თავდადებულად წოდებული).

დავით რუსუდანის ძე ანუ დავით ნარინი, ზომიერი სიმაღლის, ტან-წვრილი და ლამაზი ქაბუკი, ენატყბილი და მჭერმეტყველი მოუბარი იყო. დინჯი, სამართლიანი და კეთილი ადამიანის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. ლაშქრობაში გამგონედ და კარგ, ხელმარჯვე მონადირედ ითვლებოდა. დავით ნარინმა ცოლად შეირთო ამანელის ძეთა ასული თამარი, რომლისგანაც სამი ვაჟი შეეძინა; ვახტანგი, კონსტანტინე და მიქაელი. თამარის სიკვდილის შემდეგ, 1267 წელს ცოლად შეირთო მიხეილ პალეოლოგოსის ასული, რომლისგანაც ალექსანდრე შეეძინა. ცნობილია, რომ დიდი ყაენის ურდოდან დავით ნარინის დაბრუნებამდე საქართველოში მისი სახელით, 1245 წელს, ქალაქ დმანისში მოჭრეს ქართული და სპარსული ზედწერილიანი ფული; შემდეგში კი ფული მოუჭრიათ დავით ულუს სახელითაც.

მონღოლთა ხშირი ომების გამო საქართველოს მეფეებიც იძულებული იყვნენ თავიანთი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის თავი დაენებებინათ და მონღოლთა ლაშქრობაში მიეღოთ მონაწილეობა, ანდა ერთხანს ყაენის კარზე ყოფილიყვნენ. ამის გამო ისინი ხანგრძლივად შორდებოდნენ სამეფოს და ქვეყანაც უმეფოდ რჩებოდა.

ქართველმა ხალხმა ველარ გაუძლო მონღოლთა ხშირ ლაშქრობებსა და დიდ ბეგარას და აჯანყდა. აჯანყებას მეთაურობდა დავით ნარინი. ჰულაგუ ყაენმა აჯანყების ჩასაქრობად დიდი ჯარი გამოგზავნა. 1259 წელს ქართველთა დამონღოლთა ლაშქარი შეეჯახა ერთმანეთს. ვერცერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. სულ მალე, 1260 წელს აჯანყება მოეწყო უკვე დავით ულუს მეთაურობით. აჯანყების საბაბი იყო მონღოლთა ლაშქრობა ეგვიპტეზე, სადაც ჰულაგუ ყაენის ბრძანებით საქართველოს ჯარით დავით VII უნდა გამგზავრებულიყო. ამ აჯანყებისთანავე მონღოლებმა დაიჭირეს გვანცა დედოფალი თავისი მცირეწლოვანი შვილით და ურდოში წაიყვანეს. დავით ულუს მეთაურობით აჯანყებულები დამარცხდნენ. რადგან მეთაური ხელთ ვერ ჩაიგდეს, მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს დედოფალი გვანცა. დავით ულუს დასავლეთ საქართველოში გადავიდა და დავით ნარინს შეეკედლა.

მალე, წინასწარი საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ, დავით ულუს და



სარგის ჯაყელი ილხანების ურდოში გაემგზავრნენ და მონღოლთა მტკიცე ნებელს წარუდგინენ. ჰულაგუ—ყაენი იძიებდა აჯანყების მიზეზებს, მაგრამ 1262 წელს, როცა ზემოთ აღნიშნული ბრალდება ჯერ კიდევ ირჩიოდა, ჰულაგუ—ყაენს დარუბანდისაკენ სასწრაფოდ გამგზავრების ამბავი მოუტანეს; ამან შეაფერხა საქმის ძიება. დავით მეფე და სარგის ჯაყელი განსაცდელს გადაურჩნენ და საქართველოში დაბრუნდნენ. 1271 წელს კი მთელის მოართული შეიკვარა დავით ულუს და გარდაიცვალა.

დავით ნარინი კი დასავლეთ საქართველოში განაგრძობდა საქმიანობას და 1293 წელს იქვე გარდაიცვალა, რომლის შემდეგ გამეფდა მისი უფროსი შვილი კონსტანტინე.

ამრიგად, დავით ნარინმა და დავით ულუმ, ქართველმა ბატონიშვილებმა იმოგზაურეს ჯერ ვოლგისპირეთში, შემდეგ კი მონღოლთა ყაენის შორეულ დედაქალაქში, რომელიც მღ. კერულენსა და მღ. ონონის შესართავთან მდებარეობდა. ამის შესახებ რომის პაპის ინოკენტი მეოთხის ელჩი ფრანგი ბერი, რომელიც იმ დროს ყარაყორუმში იმყოფებოდა, წერს: „ჩვენ იმპერატორის კარზე ვნახეთ რუსეთის დიდი მთავარი, კეთილშობილი იაროსლავი, აგრეთვე გიორგიის (საქართველოს) მეფისა და დედოფლის ვაჟები“—ო.

ქართველი ბატონიშვილები არ ყოფილან სოცდაგრები და ამდენად არც სავაჭროდ გამგზავრებულან სხვა ქვეყნებში, მათ წმინდა პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ. პროფ. გ. ზარდალიშვილი წერდა: „შორეულ ყარაყორუმში მოგზაურობამ დიდად შეუწყო ხელი ქართველთა გეოგრაფიული პოზიციონის გაფართოებას. ეს მოგზაურობა თავისი მნიშვნელობითა და სიძნელით შეიძლება დაუყენოთ გვერდზე პლანო კარპინისა (1245—1246 წწ.) და ვილჰელმ რუბრუკისის (1253—1255 წწ.) შორეულ მოგზაურობას მონღოლეთში“.

ეგრემის საოცარი თავგადასავალი

XIV საუკუნის პირველ ნახევარში, თათარ—მონღოლთა უღლის გადადების შემდეგ, საქართველოში დაიწყო პოლიტიკური საზღვრების აღდგენა. აღორძინების გზაზე მყოფ ქვეყანას უფრო მეტ ანგარიშს უწევდნენ მაჰმადიანური ქვეყნები. აღდგა მისი საერთაშორისო ავტორიტეტისა საქართველო კიდევ უფრო ამადლდა უცხოელთა თვალში. ამიტომაც იყო, რომ უცხოელთა მიმოწერაში ქართველი მეფე გიორგი მეხუთე ღრმა



პატივისცემით მოიხსენიებოდა. მაგალითად, ეგვიპტის სულთანის წერილებში გიორგი ბრწყინვალე დახასიათებულია როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ძალა. მან საქართველოს მეფეს დიდი პატივით დაუბრუნა მიტაცებული ქართული მონასტრები. საქართველოს ამ პერიოდში მტკიცე ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობა დაუმყარებია ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს გავლენამის საზღვრებს ვარეთაც ვრცელდებოდა. იმდენად დიდი იყო საქართველოს ავტორიტეტი ამ პერიოდში, რომ ეგვიპტის სულთანს, გამონაკლისის სახით, ქართველებსათვის მიუნიჭებია უფლება, რომ იერუსალიმში ჩასული ქართველი მლოცველები „სულთანს ხარკს არ უხდიდნენ და ცხენებზე ამხედრებულებს“ შეეძლოთ ქართული „გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ქალაქში“. თვით ტრაპიზონის სამეფოს შინაურ საქმეებში საქართველო აქტიურ პოლიტიკურ მონაწილეობას იღებდა.

მაგრამ XIV საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში დიდი ეკონომიკური კრიზისი დადგა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინსვლას მალე ბოლო მოუღო თემურლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა.

შუა აზიის დაპყრობის შემდეგ, თემურლენგმა სამი დიდი ლაშქრობა მოაწყო ირანისა და მისი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. დაპყრობილ ქვეყნებს იღ-სოსასტიკით არბევდა და აწიოკებდა. ცოცხლად ვადაჩენილ მოსახლეობის ერთ ნაწილს უზარმაზარი თანხის გადასახადს აკორებდა თავის გამოსასყიდად, ნაწილი კი ტყვედ მიჰყავდა. თემურლენგი თავის თავს მონღოლთა უშუალო მემკვიდრედ თვლიდა და ცდილობდა ჩინგიზ-ხანის ვრცელი იმპერიის აღდგენას.

თემურლენგის ლაშქარი საქართველოს პირველად 1386 წელს შემოესია. ამ დროს საქართველოში ბაგრატ მეზუთე მეფობდა. თათრებმა, რომლებსაც თვითონ თემურლენგი ხელმძღვანელობდა, თბილისზე იერიში მიიტანეს და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აიღეს იგი. ააოხრეს ქალაქი, ამოხოცეს ხალხი და ბევრიც ტყვედ წაიყვანეს. თბილისიდან მათ დიდძალი სიმდიდრე წაიღეს, მასთან ერთად საქართველოს მდიდარი სამეფო ბიბლიოთეკაც. 1393 წელს თემურლენგი მეორედ შემოიჭრა საქართველოში, ამჯერად მისი ლაშქარი სამცხის თემს მოედო. შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. 1394 წელს თემურლენგი მესამეჯერ შემოესია საქართველოს და, დარიალის კარის ხელში ჩაა-

დების მიზნით, არაგვის ხეობისაკენ გაილაშქრა, მაგრამ მიზანს მიაღწია. თემურლენგის სისხლისმღვრელი შემოსევები საქართველოში მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. თემურლენგი საქართველოს სულ რვა-ჯერ შემოესია. საქართველოს შრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ისეთი სასტიკი და უღმობელი მტერი არასოდეს შემოსევია, როგორც თემურლენგის ურდოები იყო. ამ შემოსევებს უაღრესად მძიმე შედეგი მოჰყვა, რაც საუკუნეთა მანძილზე დაეტყო ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. თემურლენგმა მაინც ვერ გასტეხა მებრძოლი ხალხის ნებისყოფა და იძულებული შეიქნა შერიგებოდა თავის პოლიტიკურ მარცხს. 1403 წელს მან გიორგი მეფესთან დადო საზავო ხელშეკრულება; საზავო პირობებით საქართველო აღიარებული იყო როგორც ქრისტიანული სამეფო. ეს იყო უდიდესი გამარჯვება ქართველი ხალხისა თემურლენგის ურდოებზე, რაც უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და ადამიანთა მსხვერპლის ფასად დაუჯდა ქვეყანას.

სწორედ თემურლენგის ტყვეობაში უნდა მოხვედრილიყო ქართველი ეფრემი, რომელმაც იმოგზაურა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე და ინდოეთის ოკეანის გავლით აფრიკას შემოუარა.

1449 წლის დასასრულს საქართველოში ჩამოვიდა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე XI ელჩი გიორგი სფრანძესი. ელჩობის მიზანი იყო კონსტანტინე XI დანათესავება ქართლის მეფესთან. მას დავალებული ჰქონდა იმპერატორისათვის შეერჩია საცოლე; უნდა ენახა საქართველოს მეფის გიორგი მერვის ასული. ეს ის წლებია, როცა ოსმალოს თურქი კონსტანტინოპოლთან იყო მოსული. ჯერ კიდევ სფრანძესის მოგზაურობის 3 წლით ადრე სულთანმა მურად II ალყა შემოარტყა პატრასს, წავიდა თებეში და 60000 ტყვე ქრისტიანი წაიყვანა. ბიზანტია უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საშიშროების თავიდან აცილების მიზნით ბიზანტიამ მოლაპარაკება დაიწყო დასავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო. ამიტომ იმედს საქართველოზეც ამყარებდა. ამის შესახებ თ. უსპენსკი წერს: „სფრანძესი გაგზავნილ იქნა საქართველოსა და ტრაპეზუნტში, რათა თავისი მონარქისათვის შეერჩია შესაფერისი საცოლე; მას თან ახლდა დიდი ამალა, სამღვდლოება და მუსიკოსებიც კი, საჭირო იყო ფულადი და პოლიტიკური კავშირი“.

გიორგი სფრანძესის მოგზაურობა თითქმის 2 წელს გაგრძელდა, ვიდრე იბერიის დედაქალაქ თბილისში ჩამოვიდა. გიორგი სფრანძეს და



მის ამალას მრავალი დამხვედური შეეგება. უცხოელთა შესახებ დრად სხლო სოფლების მცხოვრებლებიც ჩამოვიდნენ. აქ გიორგი სფრანძქი შეხვდა ასს წელს გადაცილებულ მოხუცს ეფრემს, რომელმაც უამბო თავისი საოცარი მოგზაურობის შესახებ ინდოეთში, აფრიკასა და ევროპის ბევრ ქვეყანაში.

მოხუცი ყოფილა იბერიის განთქმული ქალაქიდან. ქალაქის სახელი ტექსტში მოხსენიებული არ არის. ვფიქრობთ, ეს ქალაქი თბილისი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ პერიოდში იბერიის ცნობილი და განთქმული ქალაქი თბილისი იყო.

ჯერ კიდევ ბავშვობაში თემურლენგის ამალამ ეფრემი ტყვედ წაიყვანა და სპარსეთში გაყიდა; მისი ბატონი ვაჭარი იყო და ამიტომ ეფრემს სხვადასხვა ქვეყანაში უხდებოდა მოგზაურობა. მან გადაწყვიტა თავი დაედწია ტყვეობისაგან. როცა ინდოეთში მივიდნენ, ერთ ღამეს მან ისარგებლა იმით, რომ მისი ბატონი და თანამგზავრები დაღლილები ღრმა ძილში იყვნენ და გაიპარა. უვალ ადგილებში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, იგი იმ კუნძულებზე მივიდა, სადაც ცხოვრობდნენ მაკრობიები ე. ი. ხანდაზმულები. მკლევარ ქ. ჩხატარაიშვილის მიხედვით, ეფრემი მოხვედრილა „სანელებელთა კუნძულებზე“. ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში მოლუკის კუნძულებს. ამავე დროს, ეს დასტურდება ეფრემის ნაამბობითაც.

ინგლისელმა მეცნიერმა უდვარდ გიბონმა (1737-1794 წწ.) პირველად გამოთქვა მოსაზრება, რომ სფრანძქსთან მოსაუბრე მოხუცი იმ ქართველთაგან უნდა ყოფილიყო, რომელიც თემურლენგს 1394 წელს დაუტყვევებია და ინდოეთში გალაშქრებისას თან წაუყვანია. მანვე გამოთქვა მოსაზრება, ქართველი მოხუცი პორტუგალიაში გემით მხოლოდ აფრიკის შემოვლით შეიძლებოდა მისულიყო. მას ის გზა უნდა გაეგლო, რომელიც დაახლოებით 100 წლის შემდეგ ვასკო და გამამ გაიარა.

ქართველი მოგზაური პირენეს ნახევარკუნძულიდან გადადის ბრიტანეთის კუნძულებზე და აქედან გერმანიის გავლით სამშობლოში ბრუნდება. ამ ცნობით ირკვევა, რომ ეფრემი ყოფილა მაშინდელი მსოფლიოს ისეთ ადგილებშიც, სადაც მანამდე ქართველთა ყოფნა დადასტურებული არ არის.

ეფრემის საოცარი თავგადასავალი იმ დროისათვის დაუჯერებელიც იყო, მაგრამ მისი ეს მოგზაურობა მრავალგზის არის დადასტურებული.

რუკაზე ნაჩვენებია ის გზა, რომელიც XIV საუკუნეში გაიარა ქართველმა ეფრემმა.

აქვე მოგვყავს გიორგი სფრანძქის ელჩობის ანგარიში იბერიასა და ტრაპიზონში.

„იმავე წლის ოქტომბრის თვის ოთხ რიცხვში ჩემი ბატონის მეფის მიერ /ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე XI—1449—1453/ გაგზავნილ ვიქმენ იბერიის ბატონთან გიორგი მეფესთან /ეს არის მეფე გიორგი VIII ალექსანდრეს ძე, რომელიც მეფობდა 1446—1466 წლებში/, რომელსაც ჩვენში უწოდებდნენ „რექს“, და ტრაპეზუნტის მეფესთან ბატონ იოანე კომნენოსთან /ტრაპეზუნტის მეფე იოანე IV კომნენოსი, მეფობდა 1447—1453 წლებში/, ბრწყინვალე საჩუქრებითა და დიდი ძღვენით /ამ ელჩობის მიზანი იყო დანათესავება; კონსტანტინე XI უნდოდა შეერთო გიორგი VIII ასული/: თან მახლდნენ დიდებულები და მხედრები, ბერმონაზონები, და მონაზონები, მგალობელ-მომღერალნი და ექიმები, და ზოგიერთები, რომლებიც უკრავდნენ ორღანოზე და სხვა სამუსიკო საკრავებზე. და იბერიაში რომ მოვედით, ყველამ სიხარულით მიგვიღო. და სამუსიკო საკრავებზე და ორღანოებზე რომ ვუკრავდით, ყველამ იქ მოირბინა საკვირველების სანახავად, და ამბობდნენ კი გვსმენია ასეთი რამე, მაგრამ როგორც ახლა არასოდეს შეგრძნებთ არც გვინახავს, არც გვსმენიაო. არა მარტო იბერიის ქალაქიდან, არამედ აგრეთვე მის გარშემო მდებარე მხარეებიდან მორბოდნენ სანახავად და მოსასმენად იმისა, რის სახელიც სმენიათ, ხოლო არ კი იცოდნენ, თუ რა იყო. და ბევრნი რომ მოვიდნენ, მათ შორის იყო ერთი მოხუცი, დაახლოებით ასი წლისა, და შემდეგი მიაშბო.

ამ მოხუცის სახელი იყო ეფრემი, წარმოშობით იყო იბერიის განთქმული ქალაქიდან, რომელსაც ეწოდება... .

თავის ბავშვობაშივე ის ტყვედ იქნა წაყვანილი ბარბაროსი და იქაური უღვთო ტომების მიერ და იგი გაჰყიდეს სპარსელთა უშინაგანეს მხარეებში.

მისი ბატონი ვაჭარი იყო. და სხვა მრავალ ვაჭართან ერთად (მასაც) სურდა მისულიყო ინდთა მხარეებში, რათა ეწარმოებინა მათთან ჩვეულებრივი ვაჭრობა და, რამდენიმე დღე რომ იარეს, მიუახლოვდნენ ინდთა ქვეყანას.

თვითონ ეფრემმა განიზრახა მოეშორებინა ტყვეობის უღელი და ეძებდა ხელსაყრელ შემთხვევას. და ერთ მთვარიან ღამეს მის ბატონს,

დალილსა მგზავრობიდან, და სხვა თანამგზავრებსაც (რომ ეძინათ), თვითონ მან ისარგებლა შემთხვევით, ადგა, გაიპარა და ადგილიდან წაიქცა. გილზე გადადიოდა და იხეტიალა კარგა ხანს უდაბურსა და უფალ ადგილებში.

მან მიაღწია იმ კუნძულებს, სადაც ცხოვრობენ მაკრობიები /ე. ი. ხანდაზმულები/, მაკრობიებს უწოდებდნენ მათ, რადგან თითოეული მათგანი ცოცხლობს ასორმოცდაათ წელზე მეტს და ეს ხდება ამბობენ, ჰავის ზომიერებისა და სისუფთავის წყალობით, რის გამოც იმ მხარეებში მთელი წლის განმავლობაში უკლებლივ არის ყოველგვარი ხილი, რომელთაგან ერთნი ყვავიან, მეორენი მწიფდებიან, ხოლო სხვების რთველი იმართება. იქვე ხარობს მსხვილი ინდური კაკალი და ჩვენთვის ძნელად საშვარი, მაგრამ ძალიან სასუკეარი სურნელებანი და მალნიტის ქვა.

ეს აღამიანები წარმოადგენენ სათნო ტომს, ეწვევიან ზომიერ ცხოვრებას და ღმერთს აღიდებენ. აქაური მხარეებიდან დასაბამი აქვს მდინარე ნილოსს. მიზეზი იმისა, რომ ეს მდინარე ივლისსა და აგვისტოში წყალდიდდება და არა სხვა დროს, როგორც დანარჩენი მდინარეები, ამბობენ ის არის, რომ ეს ორი თვე იმ მხარეებში უფრო გრილა, ვიდრე სხვა თვეებში, რადგან მზე მაშინ ჩვენკენ არის და ჩრდილოეთისაკენ. ამიტომ შუა ზაფხულში დიდდება ნილოსი და ეგვიპტეს წყლით (რწყავს) ფარავს, როგორც კი მზე უფრო ჩრდილო სარტყელში შეიბრუნეს და დანარჩენ მდინარეებს წალეკავს.

რომ მისულიყო იქ მაკრობიებთან, მან გადაიარა აგრეთვე ერთი სხვა მდინარეც, ძალიან სახიფათო, ძალიან დიდი ამფიბიო-ცხოველის ვადო, რომელიც ცხოვრობს იმ მდინარის წყალში და რომელსაც მათ ენაზე ეწოდება „კბილ-მტარვალი“, რადგან მას შეუძლია სპილოც კი მოლიანად ჩაყლაპოს.

იმ უდაბურ ადგილებში მოიპოვება აგრეთვე სხვა ძრავალი უსაზარლესი ცხოველები და მხეცები, რომელთა შორის არიან ძალიან ბევრი და ძალიან დიდი დრაკონები, დაახლოებით სამოცდაათი წყრთის სიგრძისა, სიდიდითაც და სისქითაც ძალიან უსაზარლესი, სკორობიონები წყრთიანი, ხოლო ჭიანჭველები ნახევარიდაყვის სიგრძისა და მეტისაც, ღამურები, როგორც ზაფხულის ყვავები, თაგვები, როგორც შინაური ბელურები.

ამიტომ ის ადგილები არ არის დასახლებული საზარელი და შხამიანი მხეცების გამო. ხოლო სპილოები იმ ქვეყანაში თავისი სიმრავლით იმდენია, როგორც ჩვენში ხარი და ცხვრის ფარა და ისინი ჯოგ-ჯოგად გადაიან სამწყემსურში.



მან/ე. ი. ეფრემმა/ იმ ქვეყანაში დაჰყო ერთი ხანი და იმ ადგილს ეწოდა კარგად შეისწავლა, და მოისურვა სამშობლოში დაბრუნებულიყო. და ერთი ადგილობრივთაგანს თავისი აზრი ვაუზიარა და იგი მან წაიყვანა და მიიყვანა ერთ ალაგს, სადაც გარეგან ინდთაგან მომავალი და სურნელებებით დატვირთული ნავეები მოადგებოდა ხოლმე. და ეფრემიც ერთ-ერთ ნავეში ჩაჯდა და მივიდა, ნახა ძალიან დიდი ი ბ ე რ უ ლ ი ნავეი, იმით ვასცურა და მივიდა ი ბ ე რ ი ა შ ი, ესე იგი პორტუგალიის ისპანი-აში, და იქიდან სხვა ნავეით ვასცურა ბრიტანიის კუნძულებისაკენ და გერ-მანიის მახლობლად გადავიდა ი ბ ე რ ი ა შ ი, სადაც მეც მივედი, და ამნაირად მიამბო მან ეს*.

ეფრემის მონათხრობში არის ზოგი უზუსტობა, რაც ერთი შეხედვით აღრევას იწვევს მავრამ თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ აქ მხოლოდ გეოგრაფიული სახელწოდებებია არეული. საქმე ისაა, რომ აღწერილია ინდოეთისა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ბუნება, ხოლო ტექსტში ლაპარაკია ნილოსსა და ეგვიპტეზე. შესაძლებელია თავის დროზე ამიტომაც არ იყო აღიარებული ეფრემის მოგზაურობა ჩინამდვილეში იგი საქართველოში იმ დროისათვის ფართოდ გახმაურებული უნდა ყოფილიყო და სენსაციადაც ცნობილი. სამწუხაროდ, ქართულ მატრიანეს ამის შესახებ ცნობები არ შემოუნახავს.

მარკო პოლოს უჩვეულო თავგადასავალი

იტალიელი მოგზაური მარკო პოლო დაიბადა 1254 წელს ვენეციაში. მისი მოგზაურობის პირადი ჩანაწერები არ შემორჩენილა. რუსტიჩიანო პიზანელს უნდა ვუბადლოდეთ, რომ შვიდი საუკუნის წინანდელი მარკო პოლოს შორეულ ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებები დღეს დიდი ინტერესით იკითხება მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

1298 წელს იტალიაში, ვენუის საპრობილეში, ვენეციელი მარკო პოლო ხშირად მოუთხრობდა პატიმრებს შორეული ქვეყნების შესახებ. პატიმართა შორის ყველაზე მეტად დაინტერესებულმა კალმოსანმა—რუსტიჩიანო პიზანელმა ისარგებლა ამ უჩვეულო ნაამბობით და შთაბეჭდილებები ქალაქზე გადაიტანა. შემდგომში რუსტიჩიანომ შეადგინა თავი წიგნი, რომლის ღირებულება ბევრად აღემატებოდა ადრე შექმნილ წიგნებს. იმ დროს ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ეს ჩანაწერები XV საუკუნეში დაიბეჭდებოდა და მთელ მსოფლიოში გავრცელდებოდა.



მას შემდეგ მრავალმა კალმოსანმა უძღვნა წიგნი მარკო პოლოს მართლაცდა უჩვეულო თავგადასავალს. ბევრჯერ დაისტამბა სხვადასხვა ქვეყანაში ამ მოგზაურობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები. 1975 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ დასტამბა გერმანელი მწერლის ვილი მაინკის წიგნი „მარკო პოლოს უჩვეულო თავგადასავალი“, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს პრემია დაიმსახურა.

ამ წიგნით ქართველ მკითხველს შეუძლია ვრცლად გაეცნოს მარკო პოლოს ხიფათით აღსავსე მარშრუტს შორეულ ლეგენდურ ქვეყნებში. მოგზაურობისას თან რომ სდევს, მოგზაურის მიერ მსოფლიოს ყველაზე მაღალი ქედის, ჰიმალაის გადასასვლელებს, ქარავანთან მის მოგზაურობას და უდაბნოში მარტოდმარტო ხეტიალს და სხვ.

XIII საუკუნის დამდეგამდე, ევროპაში ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მსოფლიოს (იმდროინდელი გაგებით) განაპირა მხარის (აღმოსავლეთით) მომთაბარე ერი კაცობრიობას დაპყრობით დაემუქრებოდა. XIII საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა მტკიცე და მოქნილი სამხედრო ორგანიზაციის მქონე მონღოლეთის სახელმწიფო. გასაოცარი სისწრაფით დაიპყრო აზია—ევროპის უმეტესი ნაწილი და მანამდე არნახული სიდიდის სამფლობელო შექმნა. ჩინგიზ ყაენის მიერ დაარსებული სამეფო იაპონიიდან პოლონეთამდე ვრცელდებოდა.

მაღე ევროპელები მიხვდნენ, რომ მონღოლები არც ისეთი ველურები იყვნენ, როგორც მათ ეგონათ. პირიქით, სადაც დამყარდა მონღოლთა ძალაუფლება, იქ იცავდნენ წესიერებას, გაჰყავდათ გზები და ძალიან აფასებდნენ ძვირფას სამკაულებს. ამის შედეგად გაუჩნდათ სურვილი ევროპელ ვაჭრებს გაებათ ურთიერთობა მონღოლებთან. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჭაბუკმა მარკო პოლომ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჯერ კიდევ 1254—1260 წლებში ვენეციელმა ძმებმა ნიკოლო და მათეო პოლოებმა ბულგარეთსა და ყირიმში იმოგზაურეს, გადავიდნენ ვოლგაზე, აქედან გაემგზავრნენ ბუხარაში, მაგრამ პოლიტიკური ვითარების გამო მაღე უკანვე დაბრუნდნენ.

1261 წელს ნიკოლო და მათეო გაემგზავრნენ ჩინეთში, გაიარეს ბუხარა, სამარყანდი, ყაშგარი, იარკენდი, ხოტანი, ხამი, ყარაყორუმი და მივიდნენ ჩინეთში. ყუბილაი ყაენსა და ძმებ პოლოებს შორის იმდენად კარგი ურთიერთობა დამყარებულა, რომ 1271 წელს ისინი მეორედ გაემ-

გზავრნენ შორეულ აღმოსავლეთში. ამ მოგზაურობაში თან ახლდნენ კოლოს 17 წლის ვაჟიშვილი მარკო.

ვენეციელმა ვაჭარ-მოგზაურებმა ამჯერად პალესტინისაკენ აიღეს გეზი. შემოდგომაზე უკვე ისკანდერონის ყურეში შევიდნენ, გაიარეს მცირე აზიის ცენტრალური ნაწილი. შემდეგ გადალახეს სომხეთის მთიანეთი, შემობრუნდნენ სამხრეთისაკენ და ტიგრის ხეობით ბასრაში ჩავიდნენ. აქედან უნდა ჩასულიყვნენ თავრიზში, მაგრამ მიმართულება ჩრდილოეთისაკენ იცვალეს. მათ ირანი გადალახეს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და ქერმანის გავლით ორმუზში ჩავიდნენ. იმ დროს ორმუზი დიდი სავაჭრო ცენტრი იყო. „აქ-ამბობდა მარკი პოლო, — ყოველი მხრიდან ჩამოაქვთ გასაყიდად ძვირფასი ქვები, აბრეშუმისა და ოქროს ქსოვილები, სპილოს ძვალი, ფინიკის ღვინო და პური“. აქედან ზღვით სურდათ ჩინეთში ჩასვლა, მაგრამ ხომალდების არასაიმედობის გამო ისევ ქერმანში დაბრუნდნენ. ქერმანიდან ჩრდილოეთით გაემართნენ დემეტელის უდაბნოთი და ქალაქ ქაიენში მოხვდნენ, საიდანაც ბალხამდე მიადწიეს. შემდეგ აღმოსავლეთისაკენ შემობრუნდნენ და პინდიყუმის სამხრეთ მთიანეთის გავლით მივიდნენ ავღანეთის მაღალმთიან ბაღაზანში და პამირის მთებს მიუახლოვდნენ. 40 დღე მოანდომეს პამირის მთიანეთის გავლას. შემდეგ შემობრუნდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და კაშპარის ოაზისში შევიდნენ, შემოუარეს სამხრეთიდან თაკლა-მაკანის უდაბნოს, ტიბეტის მთიანეთს. აქ გაიარეს ცნობილი ტანგუტების სამეფო (ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი—ტიბეტის მხარე). აღსანიშნავია, რომ თითქმის ექვსი საუკუნის შემდეგ ამ გზით გაიარა ნიკოლოზ პრეველსკიმაც. მდინარე სულეხეს ხეობით ვაჭარ-მოგზაური პოლოები მივიდნენ ქალაქ განჯოუში. აქ ისინი ერთი წელიწადი დარჩნენ. ცნობისმოყვარე მარკო პოლოს სურდა ენახა ქალაქი ყარაყორუმში (ეს მარკოს მოგზაურობის ყველაზე ჩრდილოეთი პუნქტია). ამ მოგზაურობის დროს ორჯერ გადაკვეთა გობის უდაბნო.

მარკოს დაუდევარ ბუნებას, მოგზაურობის თვალუწვდენელ გზას ყოველ წუთს შეეცავართ ახალ სამყაროში. აბა, როგორ შეიძლება წაიკითხო მოგზაურობის ტექსტი და მოუთმენლობა არ დაგეტყოს, უდაბნოში გზააბნეული, სიკვდილის პირას მდგარი მარკოს შესახებ. აი ნაწყვიტი ვილი მაინკის „მარკო პოლოს უჩვეულო თავგადასავალიდან“.

„სალამო იყო, ქარავანი ტბორთან რომ მივიდა, საცა ასი კატისა და-

საპალნებელი პირუტყვისათვის საკმარისი წყალი ეგულეობდათ, ქაქუცაძე
ვან-ბაშმა გზა დაინიშნა, რომ მიმართულება არ არეოდათ.

უცებ მარკოს ყურადღება რაღაც თეთრმა საგანმა მიიპყრო და იქით
გააქენა-სახედარო. ღრმად ჩაფიქრებულ, დაღლილ-დაქანცულ მგზავრებს
მარკოს წასვლა არც შეუმჩნევიათ.

უეცრად ჭარი ამოვარდა. მარკოს თითქოს შორეული მუსიკის ხმა
მოესმა. სიცხისაგან ათრთოლებულ ჰაერში სიმღერა გაისმა, თანდათან
გაძლიერდა და ბოლოს გამაყრუებელ სტვენად იქცა. ვენეციელს ისეთი
აღმური მოედო, თითქოს გავარვარებული ღუმელის წინ იჯდა. ცა ღრუ-
ბლებით მოიქუფრა, მარკოს წინ მტერის შავი კედელი აღიმართა და ჭა-
ბუკი შთანთქა.

მარკომ პირზე ცხვირსახოცი აიღარა, სახედარიდან ჩამოხტა, მხე-
დარიცა და პირუტყვიც ძირს დაცვივდნენ. მარკო სახედარს მიეკრა.

ქვიშიანი ქარიშხალი მძვინვარებდა. . . .

მარკო უძრავად იწვა ქვიშაზე და მძიმედ სუნთქავდა. გული ერეო-
და, კბილებში ქვიშას კნაწაცნუწი გაჰქონდა. კისერზე ძარღვები დაებერა.
ახველებდა, ტანი ეკრუნჩხებოდა, ძალა ეცლებოდა. მარკო სახედარს
კულში ჩააფრინდა.

მსტვინავი ხმა, მაგრად დაჭიმული სიმის ხმას რომ ჰგავდა, თანდათან ჩა-
წყნარდა. ქარიშხალი ჩადგა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა. ცაზე მუქი წითე-
ლი მზე აელვარდა და უდაბნო სულ სხვაგვარი გახდა. ქვიშის ბორ-
ცვების ადვილას ვაკე გადაიჭიმა, დიუნების მოსწორებულ ზედაპირზე კი
ქარს ქვიშის დიდი მთა აღემატათა. ირგვლივ ერთფეროვანი დატალღული
ქვიშა იდო. უფრო უდაბური ჩანდა აქაურობა.

მარკო და მისი სახედარი ქვიშის პატარა ბორცვის ქვეშ ჩამარბული-
ყვნენ.

ბორცვი ოდნავ შეინძრა. ჯერ პირუტყვის ზურგი გამოჩნდა, მერე
ჩლიქებმა ქვიშა გადაქექეს. რის ვაი-ვაგლახით პირუტყვი ფეხზე დადგა
და რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, მაგრამ იქვე შეჩერდა, თავი გააქნია და
საცოდაკად დაიხაველა. მტერის სქელი საბურველით დაფარული რაღაც
უდაბრულ ცხოველს ჰგავდა.

მარკო კვლავ მოკრუნჩხული იწვა, მარცხენა ფეხი ვაჭიმული ჰქონ-
და ზღუპი სახეზე აფეარებინა. თანდათან გონებაზე მოვიდა, ზურგზე
გადაბრუნდა, ქვიშა ჩამოიბერტყა და უნდოდა ამოესუნთქა, მაგრამ
ქვიშა-ბარი მტერით ამოვსებოდა.

სახედარი თავის მხედარს მიუახლოვდა და გვერდით დაუდგა. ხალი არსების სიახლოვემ მარკოს ძალა შემატა. პირუტყვის უკან მიხელი ჩაავლო და წამოდგა. . . უნავირის ჩანთიდან ტიკი ამოიღო. ხარბად დაეწაფა თბილ წყალს და მიაყურადა. . . სამარისებური სიჩუმე იდგა. მოშორებით მოჩანდა ის თეთრი საგანი, რამაც მარკო ქარავანს ჩამოაცილა და გზიდან გადაახვევინა. სიბნელეში ეს საგანი თეთრად ქათ-
ნათებდა.

„ქარავანი სადღაა!“ მარტოობის გრძნობამ მარკოს გული შეუკუმშა.
—მარტონი ვართ, ნაცარავ, —დაიჩურჩულა მარკომ. —ახლავე წყალს დაგალევიანბ.

უჭირდა ლაპარაკი—ენა და სასა სტკიოდა. ჩანთიდან სპილენძის ჯამი ამოიღო, შიგ წყალი ჩაასხა და პირუტყვის წინ დაუდგა.

—ამქვეყნად წყალი ყველაზე ძვირფასი და მშვენიერია. . . აგრე ბეგრს კი ნუ სვამ, ნაცარავ.

ის თეთრი საგანი ადამიანის ჩონჩხი გამოდგა, ქარისა და ქვიშისა-
ვან გაპრიალებული. დაღუმებული დაჰყურებდა მარკო ადამიანის ჩონჩხს.
თავის ქალის გვერდით ხერხემალი ეგდო, მაგრამ მარკოს არ აშინებდა
ამის ყურება. ეტყობა, შიმშილითა და წყურვილით დატანჯული ადამიანი
ქვიშაზე დაწოლილიყო და მომკვდარიყო. მარკო დასჩერებოდა თეთრ
ძვლებს და უეცრად სიკვდილის ქროლვა იგრძნო, მაგრამ იმწამსვე ფლოქ-
ვების თქარათქური შემოესმა. ერთხელ კიდევ შეხედა ჩონჩხს. თავის ქა-
ლას საზარლად დაეკრიჭა ყვითელი კბილები.

—წავიდეთ, ნაცარავ, —თქვა მარკომ. —გესმის? მეგობრები გვეძებენ.

მარკო უნავირზე დაჯდა, ყური მიუგდო და ახლა სრულიად გარკვევი-
შემოესმა მაღალი ბორცვის იქიდან მომავალი ფლოქვების ხმა. სახედარს
მსუბუქად გადაჰკრა მათრახი.

—ჩქარა, ნაცარავ, —შესძახა მარკომ, სახედარს დეზი ჰკრა და ფაფა-
რი მოქაჩა.

ბორცვზე ავიდნენ. მარკომ სახედარი შეაჩერა და ირგვლივ მიმოიხუ-
და. ვერაფერი დაინახა დატალღული და მთვარით განათებული ქვიშის მე-
ტი. ფლოქვების ხმაც მიწყდა და სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მარკო
უსაშველო სიმარტოვემ შეიპყრო. გაახსენდა ლო ბცანვის გამაჯრთხილე-
ბელი სიტყვები „ავმა სულებმა შეიძლება გზას აგაცდინოს უდაბნოში,
ქარავანს ხუთ ნაბიჯზე მეტად ნუ დაშორდებით“.

სასოწარკვეთილი ჭაბუკი აქეთ—იქით იცქირებოდა. საით წავიდეს?
სად იქნება ქარავანი?

შეეცადა როგორმე დაედგინა ქარავნის მიმართულება. ჩონჩხი მის ზურგს უკან იყო, მასმასადამე, მარჯვნივ უნდა წავიდეს. იქნებ ჯობია, აქ გაჩერდეს და დაელოდოს, ვიდრე იპოვინან? როგორცკი მარკოს მოისაკლისებენ, უთუოდ იმწამსვე ძებნას დაუწყებენ. შიშმა აიტანა. ნეტავ დანარჩენებს რაღა დაემართათ? თვალწინ წარმოუდგა თავის ქალა, დაკრეჭილი კბილები. მარკომ თავი გაიქნია, რომ მოძალებული ფიქრები განედევნა.

„ყოჩაღად, მარკო!“ — შეუძახა თავის თავს, მაგრამ მაინც ვერ დაწყნარდა. ნეტავ აშიშამ როგორ გაუძლო ამ ქარბუქს?

—მარღად, ნაცარავ, მარღად!

დაღვრემილი, ყურებჩამოყრილი სახედარი მარკოს ბრძანებას დაემორჩილა და ადგილიდან დაიძრა.

მარკომ დიდხანს ძებნა ქარავნის კვალი, მაგრამ საიმედოს ვერაფერს მიაგნო. გზა აერია. თვალეზი ეწვოდა. აგრძილდა. მთელი დღის დაძაბულობით დაღლილმა გადაწყვიტა დილაძღე შეესვენა. ქვიშაზე დაწვა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა*... .

„მესამე დღე იყო, რაც ქარავანს დასცილდნენ. პაპანაქება იღვა, ხორშაკი ქარი ქვიშას ხვეტდა და მარკოს სახეში აყრიდა. მაგრამ გადაწყვიტა, სურსათი შუაზე გაეყო, იქნებ ხვალისათვის როგორმე ვიკმაროთ.

—გასწი, შე ეშმაკის კერძო! — შეჰყვირა ხმაჩახლეჩილმა მარკომ და სახედარს მათრახი უცხუნა, მაგრამ პირუტყვი ადგილიდან არ იძროდა.

მარკომ მათრახი გადაავლო და გაჯიუტებულ პირუტყვს კისერზე მოჰხვია ხელი. სახედარმა კბილები დაკრიჭა და საკბენად გამოიწია. მარკო გვერდით გახტა. ხანჯალი იძრო. თვალეზი აენთო, ერთბაშად სურვილმა შეიპყრო, სახედრისათვის ხანჯალი ჩაეცა და მის ცხელ სისხლს დასწაფებოდა... .

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ბედს დამორჩილებულმა სახედარმა თავი ჩაქინდრა. მარკოს ხანჯლიანი ხელი უღონოდ ჩამოეკიდა.

ჭაბუკმა ქამარი შეიხსნა და ქვიშაზე დაავლო. მერე რაც კი ზედმეტი რამ ჰქონდა, ჩანთიდან ამოიღო, მარტო წყლის ტიკი, სპილენძის ჯამი და საჭმლის ნარჩენები დაიტოვა.

ასე გავიდა სამი დღე.

მარკო გრძნობდა, ყელი უშრებოდა. უკანასკნელი წვეთი წყალიც გა-

მოსცალა. მერე ტიკი გაარღვია და გამხმარი ენით ნოტიო ტყავი ადვირი ხელზე დაიხვია და გზა განაგრძო.

—მაღე შენც მოვიღებ ბოლოს, ნაცარავ, და ერთი დღით გავიხან-გრძლივებ სიცოცხლეს.

მეხუთე დღე!

მარკო ხანჯალის ტარს ჩაებლაუჭა. დადლილ—დაქანცული, ანთებუ-ლი თვალებით მისჩერებოდა ქვიშის დიუნებს. ძლივს მილასლასებდა, შიშ-შილითა და წყურვილით შეწუხებული. ენა გაუსივდა და გაუხეშემდა. ტუჩებიდან სისხლი სდიოდა.

„წყურვილი! . . . ამაზე დიდი სატანჯველი არ არსებობს. . . იცით, წყურვილი რა არის? გულში რომ მარბილი ჩაგაყარონ, შიგანში რომ ცეცხლი მოვიკიდონ, ძარღვებში სისხლის მაგიერ რომ მტვერი ჩაგიდგეს. . .“

მარკო ჩააფრინდა ხანჯალის ტარს. პირუტყვი ყალყზე შედგა და ის იყო, მარკოს უნდა დასძგერებოდა და გადაექელა, რომ მარკომ მაგრად მოქანა სადავე და დაიმორჩილა გააგებული სახედარი.

—ჯერ არა, ნაცარავ. . . დაწეჭი, ბნელა უკვე. ხვალ მოვლენ. . . მოგვაკითხავენ. განა არ გესმის ფლოქვების თქარათქური?

ორთავე ღრმა ძილმა წაიღო*.

1275 წელს ვენეციელები შონგტუში (შანდუნ) ჩავიდნენ, სადაც იყო ჩინგოზ ყაენის შვილიშვილის ყუბილაი ყაენის საზაფხულო რეზიდენცია. ყაენმა გულთბილად მიიღო ვენეციელები. მარკო პოლომ მოხიბლავი თავისი ცოცხალი გონებით, ჭკუამახვილობით. მარკო პოლომ შეისწავლა მონღოლური, თურქული, მანჯურული და ჩინური ენები და ყაენთან დაიწყო სამსახური. იგი დაინიშნა ნანკინის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქიანგ-ჩუს მმართველად. რამდენიმე წელიწადში მარტომ შემოიარა ჩინეთი და კარგად შეისწავლა ეს ქვეყანა. მან ევროპელთაგან პირველმა აღწერა ეს უზარმაზარი ქვეყანა თავისი სიმდიდრით, უდიდესი მდინარეებით, ქალაქებით, ზნე-ჩვეულებებით.

მარკო პოლო განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჩინეთის საგზაო მიმოსვლისა და ფოსტის, ქალაქის ფულისა და სხვათა შესახებ. უფრო მეტიც, მან პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ ჩინელები ქვანახშირს საწვავად ჯერ კიდევ XIII საუკუნეში იყენებდნენ: „ჩინეთის მთელ მხარეში არის შავი ქვა, მას, როგორც მადანს, თბრიან მთებში, ისე იწვივს როგორც შეშა. მისგან უფრო ძლიერი ცეცხლი ინთება, ვიდრე შემისიგან. უკეთუ საღამოს კარგად დაანთებთ ცეცხლს, ის გასტანს



მთელი ღამე, დილამდე. იცოდეთ, რომ ქვებს წვავენ მთელ ჩინეთში. შე
 შა მათ ბევრი აქვთ, მაგრამ იქინი ქვებს წვავენ იმიტომ, რომ უფრო
 იაფია და ტყეს უფროხილდებიან*.

მარკო პოლო აღწერს აგრეთვე აზბეჯის მოპოვებასა და დამუშავებას.
 ცენტრალურ აზიაში უნახავს გარეული ხარი იაკი, რომლის შესახებ აღნიშ-
 ნავს: „აქ სპილოსოდენა ველური ხარებია, შეხედულებით ძლიერ ღამა -
 ზები. მათ ვაოდა ზურგისა, ყველგან აქვთ შავი ან თეთრი გრძელი ბალანი,
 ხოლო ეს ბალანი ანუ მატყლი უფრო წვრილი და თეთრია, ვიდრე აბრეშუ-
 ში. არიან მოწინაურებული /ხარებიც/, იჭერენ ველურ /ხარებს/ და საჯი-
 შედ ამრავლებენ, ისინი სწრაფად გამრავლდნენ. მათ საპალნეებსაც ჰკი-
 დებენ და მათი მეშვეობით კიდევ ხნავენ, ისინი ღონიერებიცაა და ორჯერ
 მეტს მუშაობენ ვიდრე ჩვეულებრივი ხარები“.

ცენეციელმა მოგზაურმა მიზანს მიადწია. იგი პირველი მოგზაურია,
 რომელმაც აზიის დიდი ნაწილი მოიარა. აღწერა და დაახასიათა ყველა ის
 სახელმწიფო, რომელიც გზად გაიარა. პირველმა მოგვითხრო ჩინეთის მო-
 საზღვრე ხალხების შესახებ, ახლოს გააცნო ევროპელებს მთელი აღმოსავ-
 ლეთი აზია. აღწერა ტიბეტი და ბირმა, ლაოსი და იაპონია, სიამი და
 კოხინჩონი, ინდოეთი და ცეილონი. განსაკუთრებით საინტერესოდ მოგვი-
 თხრო ინდოეთის არქიპელაგზე არომატული პროდუქტების წარმოებაზე,
 ცეილონში /შრი-ლანკა/ ძვირფასი ქვების მოპოვებაზე, ყურადღება მი-
 აქცია სარგოს პალმის თავისებურებებს, ხის ფქვილის დამზადებას და სხვ.

მარკო პოლომ სამჯერ გადასერა აზია, თანაც ორჯერ დასავლეთი -
 დან აღმოსავლეთისაკენ. ხანბალიკიდან (პეკინი) მარკომ ორჯერ განვლო
 გრძელი გზა ახლანდელი ჩინეთის ტერიტორიაზე.

ოც წელზე მეტი პოლოს ოჯახი იმყოფებოდა ყუბილაი ყაენის
 სამსახურში, ხოლო როცა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს, მათ
 დაეკისრათ ირანში ჩაეყვანათ ჩინეთის მეფის ქალიშვილი, რომელიც
 დანიშნული იყო ირანის მმართველ მონღოლ არღუნზე. 1292 წელს 14 გე-
 მისაგან შემდგარი ჩინეთის ფლოტილია ზაიტუნიდან სამხრეთ-დასავლეთ-
 თასაკენ დაიძრა. გაიარეს სამხრეთ ჩინეთის ზღვა, შემოიარეს ზონდის
 კუნძულები და მალაკის სრუტის გავლით ნიკობარისა და ანდამანის კუნ-
 ძულებთან მივიდნენ, სადაც ნახეს ველური ტომები. კუნძულ ცეილონის
 გავლის შემდეგ, სამხრეთიდან შემოუარეს ინდოეთს და ირანს და ორ-
 მუხის სრუტით სპარსეთის ყურეში შევიდნენ. აქ შეიტყვეს, რომ არღუ-



ნი გაოდაცვლილიყო და ყაენ ყუბილაის ასული მფარველობის ქვეშევრდომი-
სცეს არღუნის შვილს ჰასანს. ორმოწუში პოლოები შეუერთდნენ ტოკმაყ-
ზუნტისაკენ მიმავალ სავაჭრო ქარავანს და 1295 წელს მშვიდობით დაბ-
რუნდნენ ვენეციაში.

მალე მარკო პოლო აირჩიეს ვენეციის მაგისტრის წევრად. დაახლოე-
ბით 1297 წელს ვენეციასა და გენუას შორის ატყდა ომი, რომელშიც მარ-
კო პოლოც მონაწილეობდა. იგი ტყვედ ჩავარდა და როგორც მძევალი
ჩასვეს ვენეთი ციხეში. მარკო პოლომ საპყრობილეში უყარნახა თავისი
„წიგნი“ ერთ-ერთ პატიმარს — რუსტიჩიანო პიზანელს. 1299 წელს მარკო
გაანთავისუფლეს და დაბრუნდა ვენეციაში, სადაც დაქორწინდა. როგორც
სასულიერო ანდერძიდან ჩანს, ჰყოლია ვ ქალიშვილი. მარკო პოლო გარდა-
იცვალა 1324 წლის 8 იანვარს.

ალბათ, დღეს არავის გაუკვირდება ვრცელი ტრამალების გადალახ-
ვა, მაგრამ შუა საუკუნეებში, როცა მოგზაურობა და გეოგრაფიული
კვლევა არ იყო თვითმიზანი, ფეხითა და სახედრით ცენტრალური აზიის
უდაბნოებისა და ზეგნების გადალახვა დიდ საგმირო საქმედ უნდა ჩაი-
თვალოს.

მარკო პოლოს ზოგი მონათხრობი იმ დროს ფანტაზიად მიაჩნდათ.
შან, ვარდა იმ ქვეყნებისა, რომელიც თვითონ მოიარა, სხვების გამოკით-
ხვით აღწერა კიდევ მეზობელი მხარეები. მაგალითად, ჩრდილოეთი აზია,
აფრიკის ქვეყნები.

მარკო პოლო არც ამიერკავკასიის ქვეყნებში ყოფილა, მაგრამ სხვა-
დასხვა გზით მიღებულ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. აღნიშნავს ბა-
ქოს ნავთის შესახებ: „საკვებად არ ვარგა, საწვავია და ქეცით დაავა-
დებული აქლემების სამკურნალოდ ხმარობენ: მრავლად მოდიან ამ ზეთი-
სათვის და მთელ ქვეყანაში მხოლოდ მას, აქარობენ საწვავად“ ხოლო არა-
რატის შესახებ წერს: „იქ ზაფხულობით თათრები ცხოვრობენ თავიანთი
ჯოგებით, ხოლო ზამთრობით ისინი იქ აღარ არიან, დიდ სიცივეებსა და
თოვლს პირუტყვი ვერ უძლებს და საზამთროდ თათრები მიდიან თბილ ადგი-
ლებში, სადაც პირუტყვისათვის ბალახი და საძოვრებია“. საინტერესო ცნო-
ბებს იძლევა აგრეთვე საქართველოს შესახებაც: „ქალაქები და ციხესიმა-
გრეები საკმაოდ ბევრია, დიდძალია აქ აბრეშუმში, ამზადებენ აბრეშუმი-
სა და ოქროს ქსოვილებს, ასეთ ლამაზებს ვერსად იხილავთ. მსოფლიოში
ყველაზე უკეთესი სანადირო ძაღლები აქაა მოშენებული. ყველაფერი
მრავლადაა აქ. ხალხი ეწევა ვაჭრობას და ხელოსნობას. მთები, ზეობები,



ციხესიმაგრეები ბევრია და თათრებმა ვერ შეძლეს სავსებით დაეპყრონ ჩილბინათ ეს ქვეყანა. . . . საქართველოში მშვენიერი ქალაქია თბილისი. ირგვლივ მრავალი ციხესიმაგრე და სოფელია, სადაც ცხოვრობენ ქრისტიანები, ქართველები, . . . აქ ამზადებენ აბრეშუმს და სხვა ქსოვილებს. . . ქართველები ლამაზები, ვაჟკაცები, საუკეთესო მსროლელნი და მამაცი მებრძოლებია“. თქმულება ამბობს — წერდა მარკო პოლო, — რომ საქარ-თველოს ძველი მეფეები იბადებოდნენ „არწივის ნიშნით მარჯვენა მხარზე“.

იმდროინდელი საზოგადოება ეჭვით უცქერდა მარკო პოლოს ნაამბობს, უფრო მეტიც, საერთოდ არ სჯეროდათ მისი მოგზაურობის ამბავი. მაგრამ გავიდა ხანი, მარკო პოლოს მიერ აღწერილი ქვეყნები XIX საუკუნეში, ხელახლა აღწერეს სხვა მოგზაურებმა, გამართლდა მარკო პოლოს ნაამბობი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მარკო პოლოს მონათხრობმა დიდი სარგებლობა მოუტანა იმ დროის ევროპელ მოგზაურებს. გააცნო მათ ჩინური კომპასი, იმასაც ფიქრობენ, რომ მან ხელი შეუწყო წიგნის ბეჭდვის გამოგონებას. ცნობილია, რომ ჩინელები ჯერ კიდევ VIII—IX საუკუნეებში იყენებდნენ მაღალი ბეჭდვის ე. წ. ქსილოგრაფიულ ხერხს. ამ ხერხით 868 წელს ჩინეთში დაიბეჭდა მსოფლიოში პირველი წიგნი.

XIV—XV საუკუნეებში მარკო პოლოს წიგნი ემსახურებოდა კარტოგრაფებს. მისი გეოგრაფიული ნომენკლატურა ძირითადად მეორდება მრავალ რუკაზე, მათ შორის, 1375 წლის კატალონიის რუკაზე.

მარკო პოლოს წიგნი დიდ როლს ასრულებდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაშიც. მაგალითად, ქრისტეფორე კოლუმბისათვის მარკო პოლოს წიგნი სამაგიდო წიგნი იყო. იგი პირველად დაიბეჭდა 1477 წელს ქალაქ ნიურნბერგში.

მარკო პოლოს წიგნი განეკუთვნება შუა საუკუნეების იშვიათ წიგნებს, რომელიც შევიდა მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდში.

ფლამანდიელი რუბრუკვისი მონღოლეთში

შუა საუკუნეებში დასავლეთის ევროპის ქვეყნებში დიდი იყო ინტერესი წინა და აღმოსავლეთ აზიისადმი. ეს ის პერიოდი, როცა ჯვაროსნული ომები მიმდინარეობდა. ამ ომებში მონაწილეობდნენ აგრეთვე სასულიერო წოდებათა პირები. ხშირად ისინი უშუალო ბრძოლაშიც ღებულობდნენ მონაწილეობას. მაგალითად, 1250 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში



ფრანცისკელთა ორდენის ბერების მთელი რაზმი იღებდა მონაწილეობას
 უან დე ბოფორის დროშის ქვეშ. ერთ-ერთი მათგანი იყო ვილემ რუბრუკი
 ანუ რუბრუკვისი. იგი საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის დავალებით გაე-
 მართა სამოგზაუროდ. მოგზაურობის შემდეგ დატოვა შთაბეჭდილებათა
 ჩანაწერები, რომელიც მრავალმხრივია საინტერესო.

ვილემ რუბრუკვისის მოგზაურობის მარშრუტი რამდენამდე ემთხვევა
 ქართველი ბატონი შვილების მოგზაურობას, ჯერ ვოლგისპირეთში, შემ-
 დგ კი ყარაყორუმში.

რუბრუკვისი თავისი დროისათვის კარგად განსწავლული კაცი ყო-
 ფილა, მას შეუხსწავლია შუა საუკუნეების გეოგრაფთა შრომები, იგი
 ბევრს მოგზაურობდა, აგროვებდა ევროპისა და აზიის ქვეყნების შესა-
 ხებ ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ და სხვა ხასიათის ცნობებს. იმ დროს
 გავრცელებული იყო არასწორი შეხედულება, თითქოს კასპიის ზღვა ოკეა-
 ნის ყურია. რუბრუკვისი კი ამტკიცებდა, რომ ეს არის დამოუკიდებელი
 ზღვა, ანუ დიდი ტბა, რომლის გარშემოვლა ფეხით ოთხი თვის განმ-
 ვლობაში შეიძლება. რუბრუკვისი პირველი ევროპელია, რომელიც ამბობ-
 და, რომ ძველი რომაელების მიერ სერესებად წოდებული ხალხი და ჩინელები
 ერთი და იგივეა. მან პირველმა წარუდგინა ევროპელებს ჩინური დამ-
 წერლობის თავისებურებები.

რუბრუკვისი ფლამანდიელი მოგზაურია, მან 1253-1255 წლებში იმოგ-
 ზაურა მონღოლეთში. მოგზაურობის ანგარიშში იგი დაწვრილებით აღ-
 წერს ნანახ ქვეყნებს. რუბრუკვისი საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო IX
 -ის დავალებით გაემგზავრა შორეულ ქვეყნებში. იმ დროს ლუდოვიკო IX
 ებრძოდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას. ამ სარწმუნოებას იმ დროს მონ-
 ლოლებიც ებრძოდნენ. რუბრუკვისის მოგზაურობის გარდა პოლიტიკური მი-
 სიაც ჰქონდა შესასრულებელი. მეფის დავალებით მას წერილი უხდა გადაე-
 ცა ყაენისათვის. დიდ ყაენთან, მანგუ ყაენთან ყარაყორუმში მგზავრობა
 საკმაოდ გრძელი გამოდგა. რუბრუკვისმა მოგზაურობა დაიწყო 1253 წელს.
 კონსტანტინოპოლიდან იგი გენუელთა კოლონიაში-სუდაკში /ყირიმი/
 ჩავიდა.

შავი ზღვის შესახებ რუბრუკვისი აღნიშნავს: „... ჩვენ შევედით
 პონტოს ზღვაში, რომელსაც ჩვეულებრივ დიდ ზღვას უწოდებენ. ამ
 ზღვას, ვაჭართა სიტყვით, ათას ოთხასი მილი სიგრძე აქვს და ის თითქოს
 არ ნაწილდება გაყოფილი. შუა წელზე მას ორი პროვინცია აკრავს,
 ერთი სამხრეთით, ხოლო მეორე ჩრდილოეთით. პირველს სინოპოლისი ჰქვია



ის თურქეთის სულთანის ციხე-სიძეაგრე და ნავსადგურია; მეორე არის პროვინცია, რომელსაც ლათინებ. ამჟამად გაზარიას ანუ ცეზარეას უწოდებენ /ეწოდებოდა ყირიმს იქ მცხოვრები ხაზარების მიხედვით/. სამხრეთით, სინოპოლისის მხრიდან ზღვაში კონცხები იჭრება /საუბარია სინოპის კონცხზე/. სინოპოლისსა და ცეზარეას შუა სამასი მილია: ამ წერტილებიდან კონსტანტინოპოლამდე სამოცდაათი ადმოსავლეთით, სადაც ძვეს იბერია, რომელიც გეორგიის /საქართველოს/ პროვინციას წარმოადგენს“.

მოგზაური ასევე დაწვრილებით ახასიათებს ყირიმის ნახევარკუნძულს, მის ქალაქებს, ყირიმის მიმდებარე ქვეყნებს, მათ მდინარეებს, ქალაქებს, ხალხს; განსაკუთრებით აღსანიშნავია ბუნებრივი პირობების თავისებური დახასიათება. ყველაფერი ეს დიდი დაკვირვებით და გასაოცარი სიზუსტით აგვიწერა. ამით იგი ბევრად განსხვავდება იმ ქრისტიან ხუცეებსა და ბერებისაგან, რომელნიც მრავლად იყვნენ იმ პერიოდში და მხოლოდ ტყუილით, ვერცხლის სიყვარულით და უკულტურობით სახელს უტეხდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას.

რუმბრუკვისი დაწვრილებით ახასიათებს მოსახლეობის ზნე-ჩვეულე ბეებს, მათ ცხოვრების პირობებს: „კარვებს, რომელშიც მათ (თათრებს) სძინავთ, გოგორებზე სდგამენ; ამ კარვებს შიგნით ერთმანეთზე ვადაქლობილი ლარტყები აქვთ, რომელნიც ზემოთ ერთდებიან, ისე რომ ერთგვარ ღუმელს ჰგვანან; თათრები ამ თავიანთ სახლებს თეთრი ქეჩით ხურავენ. ძალიან ხშირად ისინი ამ ქეჩას კირით ან თეთრი მიწით ან ძვლების ფხვნილით ჰფარავდენ, რათა მას მეტი ბრწყინვალეობა მიეცეს. ამ მიზნით ისინი ხანდახან აგრეთვე შავ ფერსაც ხმარობდენ; ხოლო კარვის სახურავის თავს ჭრელად ღებავენ. კართან სხვადასხვაფერად მოლივლივე ტყავს ან ქეჩას ჰკიდებენ. ეს ქეჩები დაფარულია მხატვრობით, რომელიც ვენახებსა და ხეებს, ფრინველებსა და ოთხფეხებს წარმოადგენს“. შემდეგ აღწერილია თუ როგორ გადააქვთ ეს საცხოვრისები ერთი ადგილიდან მეორეზე. დაწვრილებით აღწერს აგრეთვე მოსახლეობის საკვების რაციონს: „უნდა მოგახსენოთ, რომ თათრები განურჩევლად სჭამენ თავიანთი დამხრჩვავი და დაკლული ცხოველების ხორცს, მათ მრავალრიცხოვან ჯოგებში კი ბევრი პირუტყვი ავადმყოფობით კვდება. ზაფხულში ისინი მხოლოდ კუმისით საზრდოობენ. ეს სასმელი ცხენის რძისაგან მზადდება და ისინი მას ხმარობენ, სანამ ჭაკს რძე გაუმრებოდეს. თუ მოხდა, რომ ცხენი ან ხარი მოუკვდათ, ისინი მას თხელ ნაჭრე-

ბად სჭრიან და მზესა და ქარზე ახმობენ; თუმცა ამ ხორცს არ ამართლებენ, მაგრამ ის კარგად ხმება და არავითარ სუნს არ უშვებს. შიგნულთბისაგან უკეთეს ძეხვებს აკეთებენ, ვიდრე ჩვეულებრივ ღორის ხორცისაგან კეთდება, და ამ ძეხვებს უმად სჭამენ. დანარჩენ ხორცს ზამთრისათვის ინახავენ.“ შემდეგ კი დაწვრილებით აღწერს კუმისის წარმოებას, ქვეყნის ეკონომიკას. აქედან მოგზაურმა გადალახა მდინარე დონი და ძვიდა ვოლგის შესართავთან, ბათუ ყანის დედაქალაქში: „და მას შემდეგ რაც ცეზარისის პროვინცია დავტოვეთ, ჩვენ პირდაპირ გზა განვაგრძეთ აღმოსავლეთისაკენ, ისე რომ სამხრეთით ზღვა გვქონდა, ხოლო ჩრდილოეთით ფართო ტრამალი, რომელსაც ალაგ-ალაგ ოცდაათი დღის სავალის სიგრძე აქვს და სადაც არც ტყე მოპოვება, არც მთა და არც კლდე, მხოლოდ ბალახია უხვად. იქ ჩვეულებრივად ყივჩაღეთის კომანები აძოვებენ თავიანთ ჯოგებს. . . .“

რუმბუკვისი დაწვრილებით მოგვითხრობს თუ რა გაჭირვებით უხდებოდა ამ ტრამალებისა და უდაბნოების გადალახვა; თანმიმდევრობით და საქმის ცოდნით არის აღწერილი ყოველი ქვეყანა, ქალაქი, მდინარე, ხალხი. . . ვრცლად აღწერს აგრეთვე კასპიის ზღვასა და მის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნებს: „ამრიგად ჩვენ მივალწიეთ მეტად დიდ მდინარეს, ვოლგას. ის ოთხჯერ უფრო ფართოა, ვიდრე სენა მის უღრმეს ადგილას; ვოლგა გამოდის დიდი ბულგარეთიდან ჩრდილოეთით. სამხრეთისაკენ მიმართება და ერთვის ტბას, ანუ უკეთ ვთქვათ, ზღვას, რომელსაც სირსანის ზღვას /კასპიის ზღვა/ ეძახიან ერთი ქალაქის სახელის მიხედვით სპარსეთის ნაპირზე. მაგრამ ისიღორე მას კასპიის ზღვას უწოდებს, ვინაიდან მას სამხრეთით კასპიის მთები და სპარსეთი აქვს, აღმოსავლეთით მულიდების, ესე იგი კაცის მკვლელების /ასასინების/ მთები, რომელნიც კასპიის მთებს ესაზღვრებიან, ჩრდილოეთით კი მას აკრავს ეს უდაბნო; სადაც ახლა თათრები არიან. მათ მოსვლამდე აქ კომანების ერთი ტომი იყო, რომელსაც კანგლებს ეძახიან. კასპიის ზღვა ამ მხრიდან ღებულობს ვოლგას, რომელიც ზაფხულში ისევე დიდდება და ნაპირებიდან გადმოდის, როგორც ნილოსი ეგვიპტეში. დასავლეთით ამ ზღვას ალანების მთები, ლეკეთი, რკინის კარი და საქართველოს /გეორგიის/ მთები აკრავს. . . მის ირგვლივ /კასპიის ზღვა/ შემოსავლელად ოთხი თვეა საჭირო, და ისიღორე სცდება, როდესაც ამბობს, ეს ზღვა ოკეანედან გამოსული უბეაო. არც ერთი მხრით ის ოკეანეს არ ეხება და ყოველი მიმართულებით ხმელეთითაა გარემოცული.“



ჯერ კიდევ ჰეროდოტემ დაადგინა გეოგრაფიული ფაქტი, რომ კასპიის ზღვას კავშირი არ აქვს ოკეანესთან, მაგრამ შუა საუკუნეებში ესაზღვრებოდა დაიწყო; რუბრუკვისმა ხელახლა წინ წამოსწია ეს საკითხი.

რუბრუკვისმა შემდეგ იმოგზაურა მდ. ვოლგით, გადავიდა შუა აზიის ველებსაკენ, გაიარა არალის ზღვის სანაპიროები, ალა-ყულის სანაპიროები და ჯუნგარიაზე გაფრთხილებით მიადგა მაღალ მთებს: „მეშვიდე დღეზე სამხრეთით ჩვენ გასაოცარი სიმაღლის მთები დავინახეთ და ნაკადულების მიერ ბალივით დასერილ ველზე გავედით; ნიადაგი საუცხოოდ იყო დამუშავებული. ყველაწმინდის კვირაში ჩვენ სარკინოზების დაბაში შევედით, სახელად კინშატში, რომლის უფროსი ჩვენს გამყოლთან მოვიდა ბურახითა და თასებით; იმითმ რომ მათ ჩვეულებად აქვთ სურსათით შეხვდნენ ბათოსა და მანგუ-ხანის მიერ გაგზავნილ პირებს. ამ სეზონში ყინულზე მივაბიჯებდით და წმინდა მიქელის დღესასწაულის შემდეგ უკვე ყინვა მძვინვარებდა უდაბნოში“.

რუბრუკვისი ჩავიდა ყარაყორუმში, დაწვრილებით აღწერა ქალაქი, შეაგროვა საინტერესო ცნობები ხალხთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ: „რაც შეეხება ქალაქ ყარაყორუმს, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ თვით ხანის სასახლეს მხედველობაში არ მივიღებთ, ის სენდენის დაბად არა ღირს, ხოლო სენდენის მონასტერი ორჯერ მაინც სჯობს ამ სასახლეს. ქალაქში ორი უბანია, ერთი სარკინოზებისა, სადაც არის ბაზრები და მრავლად იმყოფებიან ვაჭრები, რაიცა, ერთი მხრივ, სასახლის სიახლოვით აიხსნება, ხოლო, მეორე მხრივ, ელჩების სიმრავლით. მეორე უბანი ეკუთვნის ჩინელებს, რომელნიც გამოუკლებლივ ხელოსნები არიან. ამ სასახლეს გარდა იქ რამდენიმე დიდი პალატია, სადაც სასახლის მდივნები ცხოვრობენ“.

მოგზაური დაწვრილებით აღწერს აგრეთვე ამ მხარისათვის დამახასიათებელ კლიმატურ პირობებს, მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იხილავს მის თავისებურებებს: „ამ ქვეყნებში სუსხიანი ზამთარი იცის და როდესაც ყინვა დაიწყებს, აღარ სწყდება მასამდე, თვით მაისის შუამდე. დილიდან ყინვა არ კლებულობს თუ მზის სხივების სითბომ არ შეანელებს; მაგრამ ზამთარში ის გამუდმებით გრძელდება ქარების წყალობით. და თუ ზამთარში იქ ქარს ისევე ექროლა, როგორც ჩვენში ჰქრის, შეუძლებელი იქნებოდა გაძლება; მაგრამ ჰაერი იქ უფრო წყნარია აბრილამდე, მაშინ კი ქარები ამოვარდება ხოლმე. ჩვენი იქ ყოფნის დროს, აღ-



დგომის დღეებში /1254 წლის აპრილში/, მრავალი პირუტყვი დაიღებინა მძვინვარე ქარისა და სიცივის გამო. ზამთარში თოვლი ცოტა მოდის, მაგრამ აღდგომის დღეებში, ესე იგი აპრილის ბოლო რიცხვში, იმდენი დასდო, რომ ყარაყორუმის ქუჩები აივსო და საჭირო გახდა მათი აღება ფორნების შემწვობით“.

ყარაყორუმში მოგზაურმა მეტად საინტერესო ცნობები შეაგროვა სხვადასხვა ხალხის შესახებ. გაეცნო ჩინურ იეროგლიფებს, ბამბისაგან დამზადებულ ქალაღის ფულს და სხვა. გარდა ამისა, მოგვაწოდა ცნობები კორეელებისა და მანჯურიელების შესახებ.

რუბრუკვისი გამოთქვამს თავისებურ შეხედულებებს მთელ რიგ საკითხებზე; იგი ასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს; ამასთან, ქრისტიანების ბრძოლას ურწმუნოთა წინააღმდეგ სამართლიანად სთვლის. იგი აღშფოთებულია იმ სიმკაცრით და უსამართლობით, რასაც მონღოლი მონები განიცდიან პატრონებისაგანო.

რუბრუკვისმა თავისი მისია შეასრულა და დადგა დრო უკან გამობრუნებისა. იგი 1254 წლის ზაფხულში გამოემგზავრა და სექტემბრის შუა რიცხვებში ვოლგის ნაპირებს მოაღწია, ახლანდელი ვოლგოგრადის ჩრდილოეთით; შემდეგ განვლო ოქროს ურდოს სატახტო ქალაქი სარაი, ასტრახანი, დარუბანდი, შირვანი, შამახია, ვოლგის შესართავთან მარშრუტი შეიცვალა და სამხრეთით დაეშვა, გადმოიარა დღევანდელი დაღესტნისა და აზერბაიჯანის ტერიტორია. იგი წერს: „მეორე დღეს ჩვენ შევედით დიდ ქალაქში, რომელსაც სამაგი ეწოდება /შამახია/, ხოლო იქიდან მეორე დღეს დიდ ველზე გავედით, რომელსაც მოანი /მულანის ველი/ ჰქვია; მას მტკვარი რწყავს. ამ მდინარემ სახელი მისცა გურჯებს /ქართველებს/, რომელთაც ჩვენ გეორგიელებს ვეძახით. ის შუაზე სჭრის თბილისს, გეორგიელების მთავარ ქალაქს, პირდაპირ ეშვება აღმოსავლეთით კასპიის ზღვისაკენ და საუცხოო ორაგულებს ჰკვებავს. ჩვენ თათრები ვნახეთ აგრეთვე არაქსის ველზე; ეს მდინარე პირდაპირ დიდი სომხეთიდან გამოდის და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება. სომხეთს აგრეთვე არარატის ქვეყანა ჰქვია“.

1255 წლის მარტში რუბრუკვისი არაქსის ხეობას გაჰყვა და არზრუმს მივიდა, გადავიდა ნახიჭევანში, რომელიც წინათ დიდი სამეფო იყო. მოგზაურმა ჩაიწერა აგრეთვე თქმულებები; აი ერთი მათგანი: „ამ ქალაქ ნაქსუს ნახიჭევანი გვერდით ამართულია მთები, რომელზედაც როგორც ამბობენ, ნოეს კიდობანი გაჩერდა; ორი მწვერვალი მოსჩანს,

ერთი უფრო მაღალია, ვიდრე მეორე; არაქსი მათ ძირში მიმდინარეობს და იქ ერთი ქალაქია, სახელად ცემანიუმი /იგულისხმება ერჩიადინი/. ეს სახელი, რომელიც რვას ნიშნავს, მას დაერქვა იმიტომ, რომ ის აგებულ იქნა მაღალ მთაზე რვა პიროვნების მიერ, რომელნიც კილობნიდან გადმოვიდნენ. მრავალმა მოგზაურმა სცადა ამ მთაზე ასულიყო, მაგრამ ამოდ. ამ ეპისკოპოსმა მითხრა, რომ ერთ ბერს ისეთი ძლიერი სურვილი ჰქონდა ასულიყო ამ მთაზე, რომ ანგელოზმა მას კილობნის ძელი მოუტანა და უთხრა, თავს ნუღარ იტანჯავო. ეს ძელი მონასტრის ეკლესიაში ინახება, როგორც დამარწმუნეს*.

ამის შემდეგ რუბრუკვისი საჰენზას ქვეყანაში /იგულისხმება ცნობილი ისტორიული პიროვნება, ზაქარია მხარგრძელის შვილი შანშე/ მოხვდამისი თქმით, საჰენზა წინათ ძლიერი ქართველი ყოფილა: „მე ვისადილე საჰენზასთან და როგორც მან, ისე მისმა მეუღლემ და მისმა ვაჟმა ზაქარიამ როგორც ცნობილმა საქართველოს ისტორიიდან, ზაქარია შანშეს ძე მხარგრძელმა, როგორც ქართველი ჯარის ამირსპასალარმა, სარგის ჯაყელთან და სხვებთან ერთად 1259 წელს მონაწილეობა მიიღო ულუ დავითის მიერ მოწყობილ აჯანყებაში. პირველად აჯანყებულებმა თათრები დაამარცხეს ტაშისკართან, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ: დატყვევებული ზაქარია მხარგრძელი და დედოფალი გვანცა თათრებმა ურდოში დახოცეს/ დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ. ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია; მან მთხოვა, რომ თუ ის თქვენთან მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია მისთვის, რათა ის თქვენს სამსახურში მიგეღოთ. ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ თუმცა ყოველივე უხვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყნებში იხეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიკოს მათი უღლის ქვეშ...“

რუბრუკვისი მცირე აზიის სხვა ქალაქების გავლით ხმელთაშუა ზღვაში გავიდა, ხოლო შემდეგ კუნძულ კვიპროსზე. აქედან კი 1255 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ანტიოქიის გავლით პალესტინაში ჩავიდა.

ამგვარად, რუბრუკვისის მოგზაურობა ვოლგაზე და იქედან ყარაყორუმამდე, შემდეგ უკან მთელი გზა საქართველოს მისადგომებამდე ემთხვევა ქართველი უფლისწულების დავით ულუ და დავით ნარინის შარშრუტს და ამასთან, ქრონოლოგიურად თითქმის თანადროულია.

სამაგიეროდ, ქართველი ბატონიშვილების მონღოლეთში მოგზაურობა ქრონოლოგიურად ზუსტად ემთხვევა იტალიელი იოანე დე პლანკონინისა და ლავრენტი პორტუგალიელის მოგზაურობას. რომის პაპმა ინოკენტი მეოთხემ ისინი ბათო ყაენთან წარგზავნა, საიდანაც დიდი ყაენის სატახტო ქალაქ ყარაყორუმში გაემგზავრნენ. მოგზაურობა 1245 წელს ქალაქ ლიონიდან დაიწყო, ბრატისლავასა და კრაკოვზე გავლით ჩავიდნენ კიევში, შემდეგ იმოგზაურეს ვოლგაზე, აქედან ხორეზმის გავლით მონღოლეთში ჩასვლას სამნახევარი თვე მოანდომეს. 1246 წელს ზაფხულში ისინი მონღოლეთში არიან. პლანო კარპინმა მოგზაურობის შემდეგ დაწერა წიგნი „ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ“. მას პირადად უნახავს ქართველი უფლისწულები დავით რუსუდანის ძე და დავით ლაშა გიორგის ძე, რომლებიც იმ დროს მეფობის დასამტკიცებლად იყვნენ მონღოლეთში.

ვასკო და გამა აფრიკის გარშემო

XV საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში აღმავლობას განიცდიდა; გაიზარდა მსხვილი ქალაქები, გაიშალა ვაჭრობა. საერთაშორისო გაცვლის საშუალებად გადაიქცა ფული, რაზედაც დიდად გაიზარდა მოთხოვნილება. იტალიელებსა და არაბებს ხმელთაშუა ზღვით ინდოეთიდან შემოჰქონდათ საქონელი და ევროპაში ასაღებდნენ. ევროპაში ფასი დაედო ოქროს. ყოველივე ამის გამო გაძლიერდა მისწრაფება ინდოეთისაკენ, სადაც დიდძალი ოქრო ეგულებოდათ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები სხვადასხვა დაბრკოლებებით სარგებლობდნენ თათრების მიერ დაპყრობილი გზით, ამიტომ საჭირო გახდა ახალი გზის პოვნა.

ყველაზე მეტად ესპანელები და პორტუგალიელები ცდილობდნენ ახალი, და ისიც, საზღვაო გზის აღმოჩენას.

სწორედ XV საუკუნის შუა წლებში იწყება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წინაპერიოდი, ხოლო საუკუნის მიწურულს კი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების აღმავლობის ახალი ხანა დგება. 1492 წელს ესპანეთიდან დასავლეთისაკენ გავიდა ქრისტეფორე კოლუმბი, ხოლო 1497 წელს პორტუგალიიდან სამხრეთით გაემგზავრა ვასკო და გამა. იყო კიდევ სხვა ექსპედიციებიც. ყველა ეს ექსპედიცია მიზნად ისახავდა ეპოვნა ინდოეთში მისასვლელი საზღვაო გზა.

ჯერ კიდევ 1474 წელს პორტუგალიის მეფე აფონს მეხუთემ ვა ასტრონომისა და გეოგრაფს პაოლო ტოსკანელს, ესწავლებინა მისთვის ინდოეთისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა. ვარაუდობენ, რომ ტოსკანელმა მეფეს მიაჩნოდა წერილი და რუკა. რუკაზე გამოსახული ყოფილა ატლანტის ოკეანე, რომლის აღმოსავლეთით ეგრობა იყო დატანილი, ხოლო დასავლეთით ჩინეთი. წერილში ნათქვამია: „თუმცა მე კარგად ვიცი, ასეთი გზის არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს დედამიწის სფეროსმაგვარობის საფუძველზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს და გაადვილდეს, მე გადავწყვიტე გამოვნახო გზა საზღვაო რუკაზე. ამიტომ ვუგზავნი მის აღმატებულებას საკუთარი ხელით დახაზულ რუკას, რომელზედაც გამოსახულია სანაპიროები და კუნძულები, საიდანაც თქვენ უნდა დაიწყოთ ცურვა სულ დასავლეთისაკენ, და ადგილები, საითაც თქვენ მიცურავთ. რუკაზე აღნიშნულია თუ რამდენად შორს უნდა იმყოფებოდეთ პოლუსიდან ანდა ეკვატორიდან, და რა სივრცე, ანდა რამდენი მილი უნდა გასცუროთ, რომ მიალწიოთ ადგილებს, სადაც უფრო უხვად არის ყოველგვარი სანელებელი და ძვირფასი ქვები. ნუ გაგიკვირდებათ, რომ მე ქვეყნებს, სადაც მოიპოვება სანელებელი დასავლეთ ქვეყნებს ვუწოდებ, იმიტომ, რომ განუწყვეტლივ მიმავალი ხალხი ამ ქვეყნებს აღწევს დედამიწის სფეროს მეორე მხარეზე ცურვით... მე რუკაზე მოვათავსე სხვადასხვა ადგილები, სადაც შეგიძლიათ მისცუროთ, მეზღვაურთა მითითებებით იმ შემთხვევაში, უკეთუ ქარის ანდა რაიმე სხვა შემთხვევის წყალობით, ისინი მიადგებიან რომელიმე ადგილს, სადაც მიდგომა არ ჰქონდათ განზრახული, ნაწილობრივ კი იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ დაუმტკიცონ იმ ადგილების მცხოვრებლებს, რომ მათ აქვთ ზოგიერთი ცნობები მათი ქვეყნის შესახებ, რაც რასაკვირველია, არ იქნება უსარგებლო...“

პაოლო ტოსკანელის რუკაზე ამერიკის კონტინენტი არ ჰქონდა აღნიშნული და ატლანტი, ოკეანის მოსაზღვრედ ჩინეთი და იაპონია ჰქონდა დატანილი. იგი ფიქრობდა, რომ ესპანეთიდან აზიაში პირდაპირ შეიძლებოდა მისვლა.

ასეთი მოსაზრება თავდაპირველად კოლუმბსაც ეუცხოვა. მან მიმართა შეკითხვით ტოსკანელს. ტოსკანელმა დაარწმუნა კოლუმბი მარშრუტის სისწორეში. ასე დაიწყო კოლუმბის საინტერესო მოგზაურობა 1492 წლის 3 აგვისტოს. მან სულ ოთხჯერ იმოგზაურა. ქრისტეფორე კოლუმბი ინდოეთისა და ჩინეთის ნაპირებისაკენ ეძებდა გზას და აღმოაჩინა ახალი-

ქვეყანა—ამერიკა. თვით კოლუმბი კი ფიქრობდა, რომ მიაღწია აზიის აღმოსავლეთ სანაპიროებს.

პორტუგალიელები კი განაგრძობდნენ ინდოეთის საზღვაო გზის ძებნას. ჯერ კიდევ 1487 წელს პორტუგალიელი მეზღვაური ბარტოლომეუ დიაში ხელმძღვანელობდა ექსპედიციას, რომლის მიზანი იყო ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის პოვნა. ექსპედიციამ გამოიკვლია აფრიკის სამხრეთ—დასავლეთ სანაპირო სამხრეთ განედის 22°-დან 33°-მდე. ევროპელთაგან პირველმა შემოუარა აფრიკის სამხრეთიდან, მიაღწია ალგოის უბეს, მაგრამ ეკიპაჟის მოთხოვნით იძულებული გახდა დაბრუნებულიყო. გზად აღმოაჩინა კეთილი იმედის კონცხი.

კოლუმბის მიერ „ინდოეთის მატერიკის“ და უამრავი კუნძულების აღმოჩენის შემდეგ, პორტუგალიელები ჩქარობდნენ, რათა განემტკიცებინათ „უფლება“ აღმოსავლეთ ინდოეთზე. ამ მიზნით, 1497 წელს ესკადრა შეიქმნა პორტუგალიიდან ინდოეთისაკენ მიმავალი გზის დასაზღვრავად. პორტუგალიის მეფე მანუელ პირველმა უარი თქვა ცნობილი ზღვაოსნები მოეწვია ექსპედიციაში, მათ შორის გამოცდილი ბარტოლომეუ დიაში. ექსპედიციის უფროსად დაინიშნა ადრე სრულიად უცნობი დიდგვაროვანი წარმოშობის ვასკო და გამა.

ვასკო და გამა დაიბადა 1469 წელს პორტუგალიის პატარა ქალაქ სინიშში. ბავშვობა მეთევზეთა უბანში გაატარა. ადრე ისწავლა ცურვა, ნავისა და აფრიანი ხომალდების მართვა. 28 წლის ვასკო და გამა უკვე გამოცდილი მეზღვაური იყო. ამიტომ მიჰნდეს მას ასეთი დიდი ექსპედიციის ხელმძღვანელობა.

ვასკო და გამამ ექსპედიციის ეკიპაჟი თვითონ შეარჩია. მის განკარგულებაში სამი ხომალდი იყო: ორი მძიმე წონის ხომალდი 100–120 ტონა თითოეული. ერთს ერქვა „სან-გაბრიელი“, რომელზეც ვასკო და გამამ აღმართა ადმირალის დროშა. მისი კაპიტანი იყო გამოცდილი მეზღვაური ალვარიში და, მეორე— „სან-რაფიელი“, რომლის კაპიტნად ვასკოს თხოვნით მისი უფროსი ძმა პაულო და გამა დაინიშნა. მესამე ხომალდი — სწრაფმავალი „ბერიუ“ (50 ტონა), მისი კაპიტანი იყო ნიკოლაი კუელიუგარდა ამისა, ექსპედიციას აცილებდა სატრანსპორტო ხომალდი სურსათ-სანოვავით. მთავარი შტურმანის მოვალეობას ასრულებდა გამოჩენილი ზღვაოსანი პერუ ალენკერი. ყველა ხომალდზე იყო 140–170-მდე მეზღვაური და 10–12 სისხლის სამართლის დამნაშავე (ვასკო და გამამ ისინი მეფეს სთხოვა განსაკუთრებული მძიმე დავალების შესასრულებლად).

1497 წლის 8 ივლისს ხომალდა ჯგუფი ლისაბონიდან გავიდა. ^{სტოვა} ნორმალურად მიმდინარეობდა. 17 ივლისს ამოვარდა ძლიერი ქარი, ^{ერეკლე} მალდები დაცილდნენ ერთმანეთს. მხოლოდ 10 დღის შემდეგ შეძლეს თავ-
მოყრა.

ოთხი თვის ცურვის შემდეგ, 1 ნოემბერს, ხომალდები ხმელეთს აღმო-
საგლეთიდან მიუახლოვდნენ, ხოლო სამი დღის შემდეგ შევიდნენ აფრიკის
სანაპიროს ფართე ყურეში, რომელსაც წმინდა ელენეს სახელი უწოდეს.
ნაპირზე გადასვლისას მათ დაინახეს ორი ტანმოპირი მამაკაცი (ბუმ-
მენები), ერთ-ერთი მათგანი შეიპყრეს; ვასკო და გამას განკარგულებით
მას აჭამეს, ჩააცვეს და გაუშვეს. მეორე დღეს მოგზაურებს ათზე მეტი
ბუმმენი ეწვია, რომელთაც ისევე მოექცნენ. ორი დღის შემდეგ კი 50-ზე
მეტი ბუმმენი გამოცხადდა. პორტუგალიელებმა მათ მოკაზმულობაში ოქ-
როსა და ძვირფასი საგნების მსგავსი ვერაფერი შეამჩნიეს. პორტუგალი-
ელებმა აჩვენეს ბუმმენებს ოქრო, მარგალიტი და სანელებლები, მაგრამ
ამ საგნებისადმი ბუმმენებს არავითარი ინტერესი არ გამოუჩენიათ. პორ-
ტუგალიელები დარწმუნდნენ, რომ ბუმმენები ასეთ საგნებს არ იცნობ-
დნენ, ამიტომ გადაწყვიტეს გასცლოდნენ აქაურობას. ამ დროს გაუთვა-
ლისწინებელი შემთხვევა მოხდა: ერთ-ერთი მეზღვაურის გამო უსიამოვ-
ნება ჩამოვარდა ბუმმენებსა და მეზღვაურებს შორის. ბუმმენებმა 3-4
მეზღვაური ქვებით დაჭრეს. ვასკო და გამამ კი მათ წინააღმდეგ მშვილდ-
ისარს მიმართა. პორტუგალიელებმა დატოვეს სანაპირო და გზა სამხრეთის
მიმართულებით განაგრძეს. ექსპედიციამ სამხრეთ აფრიკას შემოუარა და
ლუზა „მწყემსების ნავსადგურში“ ჩაუშვეს, სადაც ჯერ კიდევ ბარტოლო-
მეუ დიაშმა მოკლა პოტენტოტი. აქ მეზღვაურები მეგობრულად ექცე-
ოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და დაიწყეს ვაჭრობა. პორტუგალიელები
წითელ ქუდებსა და ზარზალაკებში მწყემსებისაგან ღებულობდნენ ხარისა
და სპილოს ძვლისაგან დამზადებულ სამაჯურებს.

1497 წლის დეკემბრის ბოლოს პორტუგალიელი ზღვაოსნები ჩრდილო-
აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ და სამხრეთ განედის 31° -ზე შეჩერდნენ,
რომლის მოპირდაპირედ მაღალი სანაპიროები იყო. ეს პერიოდი „საშო-
ბაო“ დღესასწაულებს დაემთხვა და ამიტომ ამ ადგილს „ნატალი“ დაარ-
ქვეს, რაც შობას ნიშნავს. 1498 წლის 11 იანვარს კი ხომალდები რომე-
ლიდაც მდინარის შესართავთან შეჩერდნენ. როცა მეზღვაურები სანა-
პიროზე გადმოვიდნენ, მათ შესახვედრად ხალხის ბრბო გამოემართა. გა-
ირკვა, რომ ეს მხარე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ისინი მისდევდ-

ნენ მიწათმოქმედებას, ამუშავებდნენ რკინას, ფერად ლითონებს და სხვა ადგილობრივი მცხოვრებნი ატარებდნენ წვეტიან ისრებს, სპილენძისა და მთლიან მახურებს. ვასკო და გამამ ამ მიწას „კეთილი ადამიანების ქვეყანა“ უწოდებდა.

პორტუგალიელებმა გზა განაგრძეს და 25 იანვარს ერთ-ერთი მდინარის გაფართოებულ თხელწყლიან აუზთან გაჩერდნენ. გაირკვა, რომ აქ რამდენიმე მდინარე ჩაედინებოდა. მათ შორის დასავლეთიდან მდინარე კვაკვა ერთვოდა, რომელიც მდინარე ზამბეზის დელტის ჩრდილო ტოტი იყო.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ვასკო და გამა დაარწმუნეს, რომ ისინი უახლოვდებოდნენ ინდოეთს. პორტუგალიელები აქ თითქმის ერთი თვე დარჩნენ. ეკიპაჟმა შეაკეთა ხომალდები. მაგრამ აქვე მოხდა არასასიამოვნო ამბავიც; გემზე გაჩნდა დაავადება—სურავანდი და რამდენიმე მეზღვაური იმსხვერპლა.

24 თებერვალს ექსპედიციამ დატოვა სანაპიროები და ჩრდილოეთით გააგრძელა ცურვა. ისინი მიტურავდნენ ნაპირიდან მოშორებით და ხუთი დღის შემდეგ მიაღწიეს მოზამბიკს, მოზამბიკის ნავსადგურებში მოდიოდნენ არაბული ხომალდები; მათ აქედან გაჰყავდათ მონები, გაჰქონდათ ოქრო, სპილოს ძვლები და სურნელები. მოზამბიკში ადგილობრივი შეიხის (მმართველი) დახმარებით ვასკო და გამამ მიიღო ორი ლოცმანი. მალე არაბმა ვაჭრებმა პორტუგალიელები მიიჩნიეს კონკურენტებად და მეგობრული ურთიერთობა მტრობაში გადაიზარდა.

1 აპრილს პორტუგალიელები ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ. ვასკო და გამა არ ენდო არაბ ლოცმანებს. მან ზღვაში დაიჭირა პატარა იალქნიანი ნავი და აიძულა მისი პატრონი საჭირო ცნობები მიეცა შემდგომი ცურვისათვის. ერთი კვირის შემდეგ ვასკო და გამას ეკიპაჟი ქალაქ მომბასაში მივიდა, სადაც ძღვევამოსილი შეიხი ბატონობდა. თავდაპირველად ადგილობრივმა მოსახლეობამ კარგად მიიღო პორტუგალიელები, მაგრამ მეორე დღეს არაბები პორტუგალიელების ხომალდებზე შეიჭრნენ, სცემეს მეზღვაურები და გაიქცნენ; ვასკო და გამამ განკარგულება გასცა შეეპყროთ მოზამბიკიდან წამოყვანილი ორი ლოცმანი; შეუტრეს ხელები და შიშველ სხეულზე გადაასხეს ადუღებული ზეთი და კუპრი. ერთ-ერთმა მათგანმა ხელებშებორკილმა შეძლო წყალში გადახტომა. ვასკო და გამამ სწრაფად დატოვა ქალაქი მომბასა და გზად ზღვაში დააკავა არაბული ხომალდი, გაძარცვა იგი და 19 კაცი ხელში ჩაიგდო.

14 აპრილს ვასკო და გამამ მალინდის ნავსადგურში ჩაუშვა ლუზა მას ადგილობრივი შეიხი მეგობრულად შეხვდა, რადგან იგი მტრულად განწყობილი მომბასას შეიხთან. მალინდის შეიხი პორტუგალიელებს უმეგობრდა საერთო მტრის წინააღმდეგ; ვასკო და გამას მისცა გამოცდილი არაბი ლოცმანი აჰმად იბნ მაჯიდა, რომელსაც უნდა მიეყვანა ისინი სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთში. აჰმადის მთელი საგვარეულო და ყველა მისი წინაპარი ლოცმანი იყო. აჰმადს ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი საზღვაო საქმის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ. იგი იცნობდა წითელი ზღვის (მეწამულის ზღვა), სპარსეთის უბისა და ინდოეთის ოკეანის გზებს. ინდოჩინეთისა და მალაის არქიპელაგის ნაპირებამდე, რადგან მრავალჯერ უმოგზაურია სხვადასხვა მარშრუტით.

24 აპრილს ვასკო და გამას ხომალდები მალინდიდან გავიდნენ და კურსი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ აიღეს. გამოცდილი ლოცმანისა და ხელსაყრელი ამინდის (მუსონური ქარები) წყალობით 1498 წლის 17 მაისს ინდოეთის სანაპიროებს მიაღწიეს. იბნ მაჯიდამ დაინახა ინდოეთის მიწა, სამხრეთისაკენ შემობრუნდა და სამი დღის შემდეგ მალალ კონცხს მიაღწენ. 20 მაისს, საღამოს პორტუგალიელთა ხომალდები 100 კილომეტრით სამხრეთით გადაადგილდნენ და მიაღწენ ქალაქ კალიკუტის, ახლანდელ კოტიკოდეს.

კალიკუტი ცნობილი ქალაქი და ნავსადგური იყო ინდოეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე. ამ ქალაქში ჩამოდიოდნენ ვაჭრები არაბეთიდან, ირანიდან, ეგვიპტიდან, აფრიკის სანაპიროებიდან, მალაკიდან, სუმატრიდან, ცეილონიდან, ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან და სხვ. უფრო ადრე ამ ნავსადგურში ჩინეთის ხომალდებიც მოდიოდნენ. ინდოეთში პორტუგალიელებმა გაიგეს, რომ მათზე უფრო ადრე კალიკუტაში ჩავიდნენ „... თეთრი ქრისტიანები, რომელთაც, როგორც გერმანელებს, გრძელი თმები ჰქონდათ. ისინი ბრუნდებოდნენ ყოველი ორი წლის შემდეგ, ამასთანავე ჩადიოდნენ 20 ან 25 ხომალდით. . . მათ ადგილობრივ მცხოვრებლებს ვერ გააგებინეს ვინ არიან ისინი და როგორი საქონელი შეუძლიათ თან ჩამოიტანონ, გარდა მეტად ნაზი სელის ქსოვილებისა და ბრინჯაოს ნაკეთობებისა, მათ თან წაიღეს სანელებლები. მათ ხომალდებზე ოთხ-ოთხი იალქანი იყო, როგორც ეს ესპანურ ხომალდებზეა. ისინი, რომ გერმანელები ყოფილიყვნენ ჩვენ გავიგებდით ამ მოგზაურობის შესახებ. შესაძლებელია ისინი რუსები იყვნენ“.



დღლით მათთან მივიდა ადგილობრივი მოხელე სამორინი. ვასკო და გამამ მასთან გაგზავნა მეზღვაური, რომელმაც არაბული ენაც იცოდა. ცოტა მაგრამ იგი მიიყვანეს ორ ტუნისელ არაბთან, რომლებიც ესპანურ და იტალიურ ენებზეც ლაპარაკობდნენ. მათი პირველი შეკითხვა იყო: „რა ეშმაკმა მოგიყვანათ აქ?“ შემდეგ კი ჰკითხეს, თუ რას დაეძებდნენ ასე შორს. მან უპასუხა: „ვეძებთ ქრისტიანებსა და სანელებლებს“. ერთ-ერთმა არაბმა მიიყვანა იგი უკან და ვასკო და გამამ ჩამოსვლა მიულოცა. შემდეგ უთხრა: „ღმერთს მადლობა გადაუხადე, რომ მან ასეთ მდიდარ ქვეყანაში მოგიყვანა.“ არაბმა ვასკო და გამას შესთავაზა თავისი სამსახური. პორტუგალიელებმა იაფად შეიძინეს მიხაკი, დარიჩინი, მოსართავები და სხვ. ადგილობრივმა მმართველმა ზემით მიიღო ვასკო და გამა. ვასკომ მას პორტუგალიის მეფის წერილი გადასცა; თავის მხრივ, სამორინმა საპასუხო წერილი გადასცა ვასკოს პორტუგალიის მეფისათვის გადასაცემად. წერილი, რომელიც პალმის ფოთოლზე იყო დაწერილი შემდეგი შინაარსის იყო: „ჩვენთან ჩამოვიდა თქვენი ქვეყნის აზნაური ვასკო და გამა, რამაც ჩვენ დიდად გაგვახარა. ჩვენს ქვეყანაში ბევრია დარიჩინიც, მიხაკიც, პილპილიც, ილიც, ძვირფასი ქვებიც, ხოლო თქვენგან მიიდა მე ოქრო და ვერცხლი, მარჯანი და კარგი მაული.“

მრავალრიცხოვანმა არაბებმა, რომელთაც სამხრეთ ინდოეთის თითქმის მთელი საგარეო ვაჭრობა ეპყრათ ხელთ, სამორინი განაწყვეს პორტუგალიელების წინააღმდეგ. თვით ლისაბონშიც ვერ მოიფიქრეს, რომ ვასკოსათვის გაეტანებინათ საჩუქრები და ოქრო ადგილობრივი ხელისუფლების მოსყიდვისათვის. მალე სამორინმა ვასკო და გამა და მისი ამაღა დააკავა. გაანთავისუფლეს მხოლოდ მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც პორტუგალიელებმა თავიანთი საქონელი ნაპირზე გადმოტვირთეს. სამორინმა შემდეგში ნეიტრალური მხარე დაიჭირა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ პორტუგალიელთა საქონელს მუსლიმანები არ ყიდულობდნენ. მას ხარისხს უწუნებდნენ, ღარიბი ინდოელები კი ცოტას იხდიდნენ. ასე გავიდა ორ თვეზე მეტი. ვასკო და გამამ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება.

9 აგვისტოს ვასკო და გამამ სამორინს აცნობა, რომ იგი ეშვადება სამშობლოში დასაბრუნებლად. მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფალმა გაცნობა განკარგულება საქონელი დაეკავებინათ მანამ, სანამ ბაჟს 600 შერიფინს (1800 ოქროს მანეთი) არ გადაიხდიდნენ. მეზღვაურებთან სანახავად ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ ავრძელებდა სტუმრობას. ერთხელ ვასკო და გამამ გაიგო, რომ მომსვლელებს შორის წარჩინებული პირებიც

უცნენ. ვასკომ ისინი დააბატონა და შეუთვალა ადგილობრივ მმართველს, რომ გაათავისუფლებდა მათ იმ შემთხვევაში თუ დაკავებულ საქონელს დაუბრუნებდნენ. ერთი კვირის შემდეგ მხოლოდ დაკავებული მეზღვაური პირები გამოუშვეს. თავის მხრივ, ვასკო და გამამ მხოლოდ ნაწილი პირები გაათავისუფლა და შეუთვალა, დანარჩენებს გაათავისუფლებდა საქონლის მთლიანად დაბრუნების შემდეგ. მაგრამ საქონლის დაბრუნებას აჭიანურებდნენ. ვასკო და გამა აღარ დაელოდა და 29 აგვისტოს პორტუგალიელთა ეკიპაჟმა ადგილობრივ წარჩინებულ პირებთან ერთად კალიკუტის სანაპიროები დატოვა.

ხომალდები ინდოეთის ჩრდილო სანაპიროებს გაჰყვა, საითაც სუსტი ქარი ქროდა. 20 სექტემბერს პატარა კუნძულ ანჯიდივთან ჩაუშვეს ლუზა. აქ შეაკეთეს ხომალდები. მათთან მოდიოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, მაგრამ ვასკო და გამას ისინი აღარ აინტერესებდა. ოქტომბრის თვეში ეს კუნძულიც დატოვეს და თითქმის სამი თვე იდგნენ ოკეანეში, ელოდნენ ზურგის ქარს.


1499 წლის იანვარში პორტუგალიელები მალინდში ჩავიდნენ. მოიმარაგეს სურსათ-სანოვავე და გაემგზავრნენ მომბასის მხარეში. აქ ვასკო და გამამ დაწვა ხომალდი „სან-რაფაელი“, რადგან ამ დროისათვის ეკიპაჟის შემადგენლობა ძლიერ შემცირებული იყო და ძნელი იყო სამი ხომალდის მართვა.

1 თებერვალს მიაღწიეს მოზამბიკამდე. აქედან კი შვიდი კვირა დასჭირდათ კეთილი იმედის კონცხამდე, ხოლო კიდევ ოთხი კვირა მწვანე კონცხის კუნძულებამდე. აქ „სან-გაბრიელი“ დაშორდა ხომალდ „ბერიუს“. ეს უკანასკნელი 1499 წლის 10 ივლისს პირველი მივიდა ლისაბონში.

ვასკო და გამას ძმა, კაპიტანი პაოლო ძლიერ ავად გახდა. ვასკო და გამა ბოლო ხანს მას არ შორდებოდა. ძმებმა დატოვეს ხომალდი „სან-გაბრიელი“ და სწრაფმავალი გემით მწვანე კონცხის კუნძულებზე გადასხდნენ. აქვე გარდაიცვალა პაოლო და გამა. ძმის დაკრძალვის შემდეგ ვასკო და გამა აგვისტოს ბოლოს დაბრუნდა ლისაბონში.

ლისაბონში ვასკო და გამა დიდი პატივით მიიღეს. მეფემ უხვად დაასაჩუქრა ადმირალი. ლისაბონში მხოლოდ ორი ხომალდი დაბრუნდა, არავინ იცის სად წავიდა სატრანსპორტო ხომალდი და რა ბედი ეწია მის ეკიპაჟს. მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ 55 მეზღვაური დაბრუნდა სამშობლოში.

ვასკო და გამას ექსპედიციამ სახელმწიფოს ეკონომიკური თვალსაზ-



რისით დიდი მოგება მისცა. მათ კალიკუტიდან ჩამოიტანეს სანელებლები და ძვირფასეულობა. ამასთან, გაირკვა, რომ საზღვაო გზას ინდოეთისაკენ შეუძლია ეკონომიკური სარგებლობა მოუტანოს. ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენას ევროპელთათვის უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დროიდან სუეცის არხის გაჭრამდე (1869წ.) ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობა უმთავრესად ამ გზით მიმდინარეობდა. ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს პორტუგალიელებმა XVI საუკუნეში ხელთ იგდეს „აღმოსავლეთის საზღვაო გზის გასაღები“, რითაც მოიპოვეს სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის სავაჭრო მონოპოლია.

1502 წელს ვასკო და გამა მეორედ გაემგზავრა ინდოეთში. ამჯერად მის შემადგენლობაში იყო 20 გემი. ინდოეთში ამ შემადგენლობით ვასკო და გამამ დაარბია ქალაქი კალიკუტი, შექმნა რამდენიმე საყრდენი ბაზა მალაბარის ნაპირზე, ჩაახშო ადგილობრივთა წინააღმდეგობა და 1503 წელს დიდი ნადავლით დაბრუნდა ლისაბონში. 1524 წელს კი ვასკო და გამა მესამედ გაემგზავრა ინდოეთში, სადაც იმავე წლის 24 დეკემბერს გარდაიცვალა.

დიდია ვასკო და გამას დამსახურება გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიაში. მას სამართლიანად აყენებენ კოლუმბისა და მაგელანის გვერდით.

* * *

ჩვენ განვიხილეთ და თვალსაჩინოდ ვაჩვენეთ XI I – XV საუკუნეების ქართველი მოგზაურების – ჩახრუხადის, ულუ და ნარინ დავითის, ევრემის მოგზაურობის მარშრუტები, შესაბამისად შევარჩიეთ და მათ მარშრუტებს დაეუკავშირეთ ევროპის იმდროინდელი ზოგიერთი მოგზაურის – მარკო პოლო, რუბრუტკისი და ვასკო და გამა მათი მარშრუტები და ქრონოლოგიური ზღვრები რამდენადმე კავშირში იყო ერთმანეთთან. ამასთან, ქართველთა მოგზაურობა ცოტათი წინ უსწრებდა ევროპელთა მოგზაურობას; მაგრამ მათი მოგზაურობის შესახებ ნაკლებად არის ცნობილი, რადგან არავინ იცის ჰქონდათ თუ არა მათ ჩანაწერები, და თუ ჰქონდათ, უკვალოდ გაქრა. იმ დროს საქართველო სუსტად იყო დაკავშირებული ევროპულ და მოწინავე მაჰმადიანურ ქვეყნებთან. ქართველთა მიღწევები გვერდით განშტოებას წარმოადგენდა, არ ითარგმნებოდა სხვა ენებზე, საქართველოშივე რჩებოდა და უკვალოდაც იკარგებოდა. ისიც ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში გაუთავებელი ბრძოლების გამო ქართველ მოსახლეობაში მოგზაურობა თვითმიზანიც ვერ იქნებოდა. აღ-



ბათ ამიტომ, რომ მატრიანის ფურცლებმა ნაკლებად შემოგვინახა, თველთა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ასეთი ჩანაწერები სულსან-საბას მოგზაურობიდან იწყება, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართველი მოგზაურების შთაბეჭდილებათა წიგნების წარმოებას და ქართული სამოგზაურო ისტორიის მაღალ საფეხურზე აყვანას.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

გ ე ხ ტ მ ა ნ ი გ . — ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან. თბ., 1955

ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ რ . — გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. თბ., 1966.

ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ . — ჩახრუხაისძე, პოეტი, მოგზაური. ჟურნ. „კავკასიონი“, 1924, №1-4.

კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ლ . — შუა საუკუნეების შესანიშნავი ქართველი მოგზაური. ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, №6.

კ ა რ პ ი ნ ი პ ლ ა ნ ო — ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. თარგმანი გ.ჭიქოძისა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 11. თბ., 1942.

კ ე კ ე ლ ი ძ ე კ . — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 11, თბ., 1945.

მ ა ი ნ კ ი ვ ი ლ ი . — მარკო პოლოს უჩვეულო თავგადასავალი. „ნაკადული“, თბ., 1975.

მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ ., ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე გ . — ტაჯიკი მეცნიერის ერთი საინტერესო ცნობის შესახებ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 26.1V.1963.

რ ო დ ო ს ე ლ ი ა პ ო ლ ო ნ — არგონავტიკა. თბ., 1975.

რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი გ ი ლ ი ო მ — მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თარგმანი გ.ჭიქოძისა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. V. თბ., 1943.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 111. თბ., 1979.

ს ფ რ ა ნ ძ ე ს ი გ ი ო რ გ ი — ელჩობა იბერიაში და ტრაპიზონში. გეორგიკა 8, თბ., 1970.

ქართლის ცხოვრება, 1., თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, 11., თბ., 1959.

ძველი ქართული მეხოტბენი, 1., ჩახრუხაძე. ქება მეფისა თამარისი.

ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუროო ივ. ლოლაშვილი
თბ., 1957.

ჩხატარაიშვილი ქ.-კვლავ „ინდოელ ქართველთა“ შესახებ.
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 19.V.1967.

Веселовский А.Н. — Из истории романа и повести, материалы
и исследования, вып. 1., Сб., отделения русского языка и словесности
АН, т. XI. №2, Петербург, 1886.

История землеведения и открытий поэтому предмету лекции Карла
Риттера, читанные в Берлинском университете. СПб, 1864.

История упадка и разрушения Римской империи. Эдуарда Гиббона.
Издание Джарто Балля 1877 года. Перевод с английского В.Н. Неведом-
ский, часть VII. М., 1886.

Магидович И. П. — Очерки по истории географических откры-
тий. Изд-во "Просвещение", М., 1967.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული გეოგრაფიისა და სამოგზაურო ისტორიის სათავეებთან	3
მოგზაურობა ძველ სამყაროში	9
ჩახრუხაძე-ძველი სამყაროს „ფანტასტიკური“ მოგზაური	10
ორი დავითის იძულებითი მოგზაურობა ყარაყორუმში	17
ეფრემის საოცარი თავგადასავალი	23
მარკო პოლოს უჩვეულო თავგადასავალი	29
ფლამანდიელი რუბრუკვისი მონღოლეთში	38
ვასკო და გამა აფრიკის გარშემო	45
გამოყენებული ლიტერატურა	54



Харадзе Коба Павлович

Грузинские и зарубежные путешественники

XII - XV веков

(на грузинском языке)

რედაქტორი ლ. ა. მ. ა. შ. უ. კ. ე. ლ. ი.
სამხატვრო რედაქტორი ელ. ს. უ. ლ. თ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.
ტექნიკური რედაქტორი მ. ა. მ. ი. რ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.
კორექტორი ნ. ჩ. ხ. ი. კ. ვ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.
მწკეტი გ. ა. ბ. რ. ა. მ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ა.
უფ. ოპერატორი ნ. მ. ა. ს. ხ. უ. ლ. ი. ა.

მოგზაურობის რუკა კარტოგრაფიულად გააფორმა ნ. გამცემლიძემ
И/к

აიწყო გამომცემლობა „განათლებაში“
გადაეცა ასაწყობად 1.06.87, ხელმოწერილია დასაბეჭდად
20.07.87, ქალაქის ზომა 60x 84, ქალაქი-ოფსეტის,
ბეჭდვა ოფსეტური, ნაბ. თაბ. 3,5+0,125 ფ. რუკა, პირა
ნაბ. თაბ 3,26+1ფ. რუკა, პირა საღებავგატარება 5,73,
სააღრ. საგამომც. თაბ. 2,96+ 1,23 ფ. რუკა

უე 10272

ტირაჟი 10.000

შვ. № 3191

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство "Ганатлеба", Тбилиси, ул.Орджоникидзе № 50.

1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნით
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის რუსთავეის პოლიგრა-
ფიული საწარმოო გაერთიანება. თოდრიას ქ. №11

Руставская ППО Государственного комитета Грузинской ССР по делам
издательств, полиграфии и книжной торговли. ул. Тодриа №11

ფასი 40 კპ.

76/10


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

